გაზეთი ბეჭდავს, „ეროვნული ენერგეტიკა“ ეწერება

ვერსია

60 თვეთრი

№127 (1153) 11 - 13 დეკემბერი, 2015 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

„პირადად გამოვცადე ინდოეთში აღგილობრივი მედიკამენტები და ეფექტურად იმოქმედა“

გვ.7

ეს ყველა მძღოლმა უნდა წაიკითხოს

გვ.3

რა ბედი ელის მათ, ვინც მარჯვენასაჭიანი ავტომობილი ბანკის კრედიტით შეიძინა

საქართველოში მანქანები კიდევ 30%-ით გაძვირდება

„მოვითხოვ, ხელისუფლებამ გამოიძიოს „შეიარაღებული ბანდფორმირებების“ სკანდალური საქმე!“



რატომ გამოუშვეს „ოცნების“ საკრებულოდან, რა კითხვები აქვს ხელისუფლებასთან სამეგრელოს მოსახლეობას და რას გვიმხელს ძმებ გაჩეჩიღაძეებზე ვახა მიქაია

გვ.5

10 ათას დოლარად „ნაყიდი“ „კაზლიატნიკი“

გვ.6 პატიმრის დღიური

ელექტრონული სიგარეტი

გვ.4

საერთაშორისო კვლევებით დასტურდება, რომ ელექტროსიგარეტი მავნე ჩვევისგან თავის დაღწევის საშუალება არ არის!

ცეცხლმოკიდებული ფასები პროდუქტებზე და გაწიწმატებული მყიდველ-გამყიდველი

გვ.6

სოფელ ნაფეტვრების მოსწავლეებისთვის განათლების სამინისტრომ ტრანსპორტი სპეციალურად გამოყო

გვ.7

უკრაინაში ქართველი ჯარისკაცი დაიღუპა

უკრაინის მოქალაქე ირაკლი ქუთელია დონეცკის აეროპორტის მახლობლად, საბრძოლო მანქანის ნაღმზე აფეთქების შედეგად დაიღუპა. აფეთქების შედეგად დაღუპულია კიდევ ერთი, ხოლო დაშავდა 7 მებრძოლი.

ინფორმაცია ტრაგედიის შესახებ უკრაინის ანტიტერორისტული ორგანიზაციის პრესსამსახურმა გაავრცელა, სადაც აღნიშნულია, რომ აფეთქება გამაგრებულ პუნქტებს შორის გადაადგილებისას მოხდა.

„სამწუხაროდ, აფეთქების შედეგად უკრაინელი სამხედროები დაიღუპნენ“, — აღნიშნულია გავრცელებულ განცხადებაში.

როგორც ცნობილი გახდა, მომხდარის მიზეზების დასადგენად, გამოძიება მიმდინარეობს.

„ვერსია“ მწუხარებას გამოთქვამს დაღუპულების გამო და უსამძიმრებს მათ ოჯახებს.

„პია“

შს მინისტრი გიორგი მღებრიშვილი ჯორჯიის შტატის სამართალდამცველებს შეხვდა

შინაგან საქმეთა მინისტრის ოფიციალური ვიზიტი აშშ-ში გრძელდება. გიორგი მღებრიშვილი, დელეგაციის წევრებთან ერთად, ჯორჯიის შტატის ქობის ოლქის საზოგადოებრივი უსაფრთხოების ცენტრის იმიტირებულ სასწავლო სოფელს ეწვია.

ჯორჯიის შტატსა და საქართველოს შორის არსებობს „დაძმობილების“ პროგრამა, რომელიც სამხედრო, ჯანდაცვის და განათლების სფეროებს მოიცავს.

იმიტირებული სოფელი მოსწავლეებისთვისაა განკუთვნილი. ის პოლიციის ბაზაზეა მოწყობილი და საგანგებო სიტუაციების მართვის საკითხებში ბავშვებისა და მოზარდების ცნობიერების ამაღლებას ემსახურება. იმიტირებულ დასახლებულ პუნქტში მოზარდებს საგანგებო სიტუაციების პრევენციას ასწავლიან და მართვის პრაქტიკულ ჩვევებს უვითარებენ.

ვიზიტის ფარგლებში, გიორგი მღებრიშვილმა, ადგილობრივ პოლიციელებთან ერთად, ატლანტის გზებზე პატრულირება პირადად განახორციელა და განაცხადა: **„ჩემთვის დანაშაულის და უბედური შემთხვევების პრევენციის მთავარი პირობა ცნობიერების ამაღლებაა. ჩვენი სამინისტროს ხედვაა, კანონმორჩილი მოქალაქის აღზრდა მოხდეს საბავშვო ბაღის, სკოლის ასაკიდან. აშშ-ს პოლიციას მდიდარი გამოცდილება აქვს, როგორც საგზაო მოძრაობის ადმინისტრირების და დანაშაულთან ბრძოლის, ისე საგანგებო სიტუაციების მართვის კუთხით. ჩემი სურვილია, საქართველოს პოლიცია მუდმივად განვითარების პროცესში იყოს, დაინერგოს ნოვაციები, რომლებიც უფრო ეფექტურს გახდის ჩვენს მუშაობას. ამიტომ ჩვენთვის უმნიშვნელოვანესია ამერიკელი კოლეგების ცოდნის გაზიარება. ჩვენს სამინისტროს განსაკუთრებულად მჭიდრო ურთიერთობა აქვს ჯორჯიის შტატთან. ამ მეგობრობის და თანამშრომლობის ფარგლებში, ბევრი საინტერესო პროექტი განხორციელდა და ეს ნაყოფიერი პროცესი მომავალში აუცილებლად გაგრძელდება“.**

საქართველოს შს სამინისტროსა და ჯორჯიის შტატის სამართალდამცველებს მრავალწლიანი მეგობრობა და თანამშრომლობა აკავშირებთ. წლების განმავლობაში წარმატებით განხორციელდა მრავალი სასწავლო ვიზიტი და გაცვლითი პროგრამა, ათობით ტრენინგი ჩატარდა სხვადასხვა სამართალდაცვით სფეროში: კრიმინოლოგია, კრიმინალისტიკა, პროფესიული განვითარება, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება, პატრულირება, მენეჯმენტი/მართვა, სპეც.იარაღების გამოყენება, საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიცია და სხვა.

აშშ საქართველოს შს მინისტრის ვიზიტით ადგილობრივი მედიასაშუალებები დაინტერესდნენ და მინისტრისგან პირადად მიიღეს ინფორმაცია ვიზიტის დეტალებზე. მინისტრმა ჟურნალისტებთან ინტერვიუს დროს განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ამერიკელი და ქართველი სამართალდამცველების წარმატებულ თანამშრომლობაზე.

ნაციონალური მოძრაობის ოფისზე თავდასხმის ფაქტზე გამოძიება დაიწყო

შს სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, გამოძიება 187-ე მუხლის პირველი ნაწილით დაიწყო, რაც სხვისი ნივთის ან ქონების დაზიანებას გულისხმობს, რამაც მნიშვნელოვანი ზარალი გამოიწვია. მათივე თქმით, გამოყენებულია ცეცხლსასროლი იარაღი. ჩამტვრეულია ოფისის შუშები და რამდენიმე ათეული ტყვიით ოფისის ინტერიერიც დაზიანდა.

დედოფლისწყაროს ნაციონალური მოძრაობის რაიონული ოფისი 9 დეკემბერს, გვიან ღამით დაცხრილეს. შემთხვევის ადგილზე ექსპერტ-კრიმინალისტებმა იმუშავეს. დაკითხვაზე იმყოფებოდა დედოფლისწყაროს მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს უფროსი. ზურაბ ყოჩიაშვილი მომხდარზე პასუხისმგებლობას ხელისუფლებას აკისრებს.

შემთხვევის ადგილზე საპარლამენტო უმცირესობის ლიდერები ჩავიდნენ. პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილმა მომხდარის ობიექტურად გამოძიებისკენ მოუწოდა. უსუფაშვილის განცხადებით, თოფის სროლა, პარტიული ოფისის წინააღმდეგ იქნება თუ კერძო პირის, ნებისმიერ შემთხვევაში, მძიმე საკითხია და ყველა კითხვას პასუხი უნდა გაეცეს.

მომხდარის გამო, პარლამენტში, უმრავლესობისა და უმცირესობის წევრებს შორის სიტყვიერი დაპირისპირებაც მოხდა. სესიაზე დაწყებული კამათი დერეფანში გაგრძელდა, სადაც სიტყვიერად ერთმანეთს გოკა გაბაშვილი, გია ვოლსკი და დავით ლორთქიფანიძე დაუპირისპირდნენ. შელაპარაკება დედოფლისწყაროში ნაციონალური მოძრაობის წევრის, ზაზა კედელაშვილის ოფისზე თავდასხმასა და პარტიის მიერ შემოტანილი რეზოლუციაზე მსჯელობისას მოხდა.

ნაციონალურ მოძრაობას პარლამენტში შეტანილი აქვს რეზოლუცია, რომელიც პარლამენტთან, „რუსთავი 2“-ის მხარდამჭერ აქციაზე დაკავებულ სამ პირს ეხება. დოკუმენტის თანახმად, ხელისუფლების მხრიდან უნდა შეწყდეს ოპოზიციისა და პოლიტიკური ოპონენტების მიმართ სიძულვილის ენა. ოპოზიციური პარტიის განცხადებით, კონკრეტულად ხელისუფლების წარმომადგენლების რიტორიკა უწყობს ხელს ნაციონალური მოძრაობის მიმართ სიძულვილის გაღვივებას.

„პია“

თელავში 25 წლის მამაკაცი მოკლეს

9 დეკემბერს, თელავში მკვლელობა მოხდა. ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე 25 წლის ბექა ჯველაური გამოასალმეს სიცოცხლეს.

გარდაცვლილის ნათესავების თქმით, ახალგაზრდა მამაკაცს ცივი იარაღით ჭრილობა გულმკერდის არეში მიაყენეს. ის შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა.

შსს-ს ინფორმაციით, მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, სისხლის სამართლის საქმე განზრახ მკვლელობის მუხლით აღიძრა. უწყების ინფორმაციით, ამ ეტაპზე, მკვლელობაში ბრალდებულის დაკავების მიზნით, სამძებრო სამუშაოები მიმდინარეობს.

„პია“

პარლამენტმა ვიზალიბერალიზაციაზე „თავისუფალი დემოკრატების“ მიმართვის ტექსტს მხარი დაუჭირა

„თავისუფალი დემოკრატების“ მიმართვის ტექსტს, პარლამენტის 76-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი. წინააღმდეგი კი არავინ იყო.

როგორც პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილმა აღნიშნა, მიმართვის ტექსტი დაუყონებლივ გაეგზავნება ადრესატებს.

ვიზალიბერალიზაციასთან დაკავშირებით პარლამენტის მიმართვა, რომლის ავტორიც ფრაქცია „თავისუფალი დემოკრატებია“, ევროკომისიას, ევროპარლამენტს, ევროკავშირის საბჭოს, ევროპულ საბჭოს, ევროკავშირის საგარეო ურთიერთობათა სამსახურს გაეგზავნება.

„პია“

შსს-მ განსაკუთრებით დიდი ოდენობით „ექსტაზი“ ამოიღო



შსს-ს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის ბათუმის საქალაქო სამმართველოს პირველი განყოფილების თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე, 1988 წელს დაბადებული ილმაზ თ. ბათუმში დაიკავეს.

სამართალდამცველებმა ბათუმში, ილმაზ თ-ს დროებითი საცხოვრებელი ბინის და პირადი ჩხრეკისას, 36 აბი „ექსტაზი“ ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით 1,0136 გრ 3,4-მეთილენდიოქსიმეტამფეტამინს შეიცავს. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს. გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით).

„ვერსიანიუსი“

რუსეთმა საქართველოს საჰაერო სივრცე ორჯერ დაარღვია

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას, საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული ვალდებულებები შეასრულოს.

საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, სუვერენული სახელმწიფოს წინააღმდეგ განხორციელებული ეს პროვოკაციული აქტი, რაც საჰაერო სივრცის დარღვევა წარმოადგენს, მორიგი დადასტურებაა, რომ რუსეთის ფედერაცია არაფრად მიიჩნევს საერთაშორისო სამართლის ფუძემდებლურ ნორმებისა და პრინციპების დარღვევას: **„2015 წლის 9 დეკემბერს დაახლოებით 18:48 საათზე ოკუპირებული ცხინვალის რეგიონში უკანონოდ განლაგებულმა რუსულმა უპილოტო საფრენმა აპარატმა დაარღვია საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი საჰაერო სივრცე და გადაუფრინა გორის რაიონის სოფლებში კოშკასა და გუგუტიანთკარში განლაგებულ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შსს) საგუშაგოებს.**

2015 წლის 10 დეკემბერს, დაახლოებით 12:48 საათზე, ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში უკანონოდ განლაგებულმა რუსულმა Ми-8 ტიპის ვერტმფრენმა, დაარღვია საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი საჰაერო სივრცე და გადაუფრინა გორის მუნიციპალიტეტის სოფელ მერეთის ტერიტორიაზე განლაგებულ შსს პოლიციის შენობას;

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას შეასრულოს საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული ვალდებულებები, 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების პირობები“.

„პია“

მაია მიშელაძე
593-51-90-12

ეს ყველა მძღოლმა უნდა წაიკითხოს

საქართველოში მანქანები 30%-ით გაძვირდება

2016 წლის 1 მარტიდან საქართველოში ახალი რეგულაცია ამოქმედდება, რომლითაც მარჯვენასაჭიანი ავტომობილების რეგისტრაცია იკრძალება. შეზღუდვა არ შეეხება საქართველოში უკვე არსებულ ავტომობილებს, ან რომლებსაც 2016 წლის 1 მარტამდე ჩამოიყვანენ. რა ბედი ელის მათ, ვინც მარჯვენასაჭიანი ავტომობილების შესაძენად საბანკო კრედიტი აიღო, ან ავტომობილი შიდა განვადებით შეიძინა? რა არის მარჯვენასაჭიანი ავტომობილების რეგისტრაციის აკრძალვის რეალური მოტივი და როგორია სტატისტიკა მარცხენასაჭიან ავტომობილებთან შედარებით?

აკრძალვის მიზეზი და არაოფიციალური სტატისტიკა

„საქართველოს კანონში საგზაო მოძრაობის შესახებ“, ცვლილება განხორციელდება, რომლითაც 2016 წლის 1 მარტიდან, მარჯვენასაჭიანი ავტომობილების რეგისტრაცია აიკრძალება. საქართველოს შსს, ამ ინიციატივას ქვეყანაში საგზაო მოძრაობის სფეროში არსებული ვითარების გაუმჯობესებისა და სწორად განვითარების მიზნით ხსნის. უწყებაში იმასაც აცხადებენ, რომ ამ გადაწყვეტილებით ქვეყანა სატრანსპორტო კოლაფსს აიცილებს, თბილისი კი საცობებისგან განიტვირთება.

შს მინისტრის მოადგილის, **არჩილ თალაკვაძის** განმარტებით, ამგვარი აკრძალვის მიზეზი ქვეყანაში მომრავლებული მარჯვენასაჭიანი ავტომობილებია: **„მარჯვენასაჭიანი ავტომობილების რაოდენობა კრიტიკულად იზრდება. მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ ჟენევის კონვენციით, გვაქვს ვალდებულება და შესაბამისად, ვიცავთ კიდეც. ქვეყნის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა მარცხენასაჭიანი ავტომობილების მოძრაობაზეა გათვლილი, ამიტომ მარჯვენასაჭიანი ავტომობილების მომრავლება საფრთხეს ქმნის“.**

„ვერსიამ“ გაარკვია, რომ მარჯვენასაჭიანი ავტომობილების ოფიციალური სტატისტიკა არ არსებობს, რადგან საბაჟოზე, ავტომობილების განბაჟების დროს, დიფერენცირება — რამდენი მარჯვენა ან მარცხენასაჭიანი ავტომობილი შემოვიდა, არ ხდება. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, „საქსტატის“ მონაცემებით, 2014 წელს, საქართველოში 87 987 მსუბუქი ავტომანქანის იმპორტი განხორციელდა, რაც 2012 წლის საერთო მაჩვენებელს 31%-ით აღემატება. 2012 წელს, მთლიანობაში, 67 099 მსუბუქი ავტომანქანა, 2013 წელს კი, 81 250 ავტომობილი შემოვიდა. საიმპორტო ქვეყნებში პირველ ადგილზე იაპონიაა, საიდანაც 2014 წელს, 183%-ით მეტი ავტომობილი შემოიყვანეს, ვიდრე 2012 წელს, როდესაც მხოლოდ 14 184 ავტომობილის იმპორტი განხორციელდა. მეორე და მესამე ადგილზეა აშშ-დან და გერმანიიდან იმპორტირებული მანქანები. „საქსტატის“ მონაცემებით, 2014 წელს, აშშ-დან 19 945, გერმანიიდან კი 16 968 ავტომობილის იმპორტი განხორციელდა. სხვა ქვეყნებიდან მანქანების წლიური იმპორტი 2 000 ერთეულზე მეტი არაა.

სპეციალისტების გათვლით, ქვეყანაში იმპორტირებული ავტომობილების 40% მარჯვენასაჭიანია. ვინაიდან ოფიციალური სტატისტიკით, ავტომობილების საიმპორტო ქვეყნებს შორის იაპონია ლიდერობს, უნდა ვივარაუდოთ, რომ საქართველოში, ყოველ მეორე-მესამე მძღოლს მარჯვენასაჭიანი ავტომობილი ჰყავს.

მარჯვენასაჭიანი ავტომობილების მომრავლება მოსახლეობის მძიმე სოციალურ მდგომარეობას უსვამს ხაზს. სპეციალისტების განცხადებით, იაპონიიდან იმპორტირებული ავტომობილი გაცილებით იაფი და რაც მთავარია, შედარებით ახალია. მარჯვენასაჭიანი ავტომობილის შეძენა, საშუალოდ, 3 000 აშშ დოლარი ჯდება. ცხადია, ამ ფასად იგივე ტექნიკური მონაცემების მარცხენასაჭიან ავტომობილს ვერ შეიძენთ, რადგან 5 000-დან 6 000 აშშ დოლარამდე ღირს. სწორედ ამ მიზეზით ირჩევს მომხმარებელი მარჯვენასაჭიან ავტომობილს, რის გამოც მათი რიცხვი გაიზარდა.

რატომ გაძვირდება ავტომობილები?

შსს-ს ოფიციალური ინფორმაციით, საქართველოს იმ მოქალაქეებს, რომლებსაც უკვე ჰყავთ მარჯვენასაჭიანი ავტომობილები, ახალი რეგულაცია არ შეეხება. მეტიც, ქვეყანაში არც მარჯვენასაჭიანი ავტომობილების რეექსპორტი აიკრძალება. ოღონდ, ოფიციალურად უცნობია, რა ბედი ელის იმ მოქალაქეებს, რომლებმაც მარჯვენასაჭიანი ავტომობილების შესაძენად საბანკო კრედიტი აიღეს, ან ავტომობილი შიდა განვადებით შეიძინეს? მარჯვენასაჭიანი ავტომობილის დაბალი ფასიდან გამომდინარე, კრედიტის დაფარვა მათ დაახლოებით, 2-3 წლის მანძილზე მოუწევთ. თუმცა ახალი რეგულაციის ამოქმედების შემთხვევაში, აბსოლუტური უმრავლესობა ეცდება, მის საკუთრებაში არსებული ავტომობილი იმაზე ბევრად იაფად გაყიდოს, ვიდრე შეიძინა.

ტრანსპორტისა და გზების ასოციაციის თავმჯდომარემ **დავით მესხიშვილმა,** „ვერსიასთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ მარჯვენასაჭიანი ავტომობილების რეგისტრაცია არ უნდა აკრძალულიყო. მისი თქმით, სახელმწიფოს გარკვეული შეზღუდვა უნდა დაეწესებინა, ხოლო ის მოქალაქე, რომელსაც ასეთი შეზღუდვის მიუხედავად, მაინც მარჯვენასაჭიანი ავტომობილის შეძენა მოუნდებოდა, სახელმწიფოსთან ანგარიშვალდებული იქნებოდა, ანუ გარკვეულ გადასახადს გადაიხდიდა: **„არაერთი კომპანიის წარმომადგენელს შევხვდი, რომლებსაც მარჯვენასაჭიანი ავტომობილები იაპონიიდან ჩამოჰყავთ. ბევრ მათგანს რამდენიმეწლიანი კრედიტი აქვს აღებული და სწორედ ამიტომ ვითხოვთ, მთავრობამ ეს აკრძალვა გადადოს. მარჯვენასაჭიანი ავტომობილების მფლობელებს საშუალება უნდა მიეცეთ, სხვა ბიზნესზე გადაეწყონ. ამას მინიმუმ ერთი წელი მაინც სჭირდება, ამიტომ ჩვენი ინიციატივით, მარჯვენასაჭიანი ავტომობილების რეგისტრაცია 2016 წლის 1 მარტიდან კი არა, 2017 წლის 1 იანვრიდან უნდა აიკრძალოს. რაც შეეხება საბანკო კრედიტს, ამ შემთხვევაში, მარჯვენასაჭიანი ავტომობილების იმპორტიორების მიერ აღებული კრედიტები უფრო დიდ პრობლემად მიმაჩნია, ვიდრე კონკრეტული პირის მიერ, მანქანის შესაძენად აღებული კრედიტი. პრობლემა ის არის, რომ იმპორტიორმა აიღო კრედიტი, რომლითაც იაპონიიდან მარჯვენასაჭიანი ავტომობილების შემოყვანის ბიზნესი წამოიწყო, ავტომობილების დიდი რაოდენობა შეიძინა და მომავალი წელი უფრო დიდ შეკვეთებზე გათვალა. არადა, 2016 წლის 1 მარტიდან, ამგვარი ავტომობილების რეგისტრაცია იკრძალება და შესაბამისად, ამ ადამიანებს ლავირებისთვის დროც კი არ რჩებათ, რომ იაპონური ბიზნესიდან, სხვა მიმართულებით შეცვალონ ორიენტირი. მათ, რომლებსაც იაპონიიდან შემოჰყავთ მარჯვენასაჭიანი ავტომობილები, სავარაუდოდ, ავტომობილების ბიზნესში დარჩენა მოუწევთ, ოღონდ ამგვარი აკრძალვის შემდეგ, ისინი იძულებულები ხდებიან, ავტომობილები გერმანიიდან და ამერიკიდან შემოიყვანონ. ეს დამატებით პრობლემას ქმნის, რადგან მთელი რიგი კომპანიების მიერ, ამერიკისა და გერმანიის მიმართულება უკვე „დაკავებულია“. იაპონური ავტომობილების იმპორტიორებს გაუჭირდებათ საკუთარი ადგილის მოძებნა იმ ბაზარზე, სადაც გერმანული და ამერიკული ავტომობილების იმპორტიორები დიდი ხნის წინ დამკვიდრდნენ. გამოდის, მარჯვენასაჭიანი ავტომობილების რეგისტრაციის აკრძალვის თუნდაც ერთი წლით გადავადების შემთხვევაშიც კი, მათი იმპორტიორი კომპანიებისთვის ლავირებაც კი არ იქნება ადვილი. როგორც გითხარით, მათ უამრავი კომპანიით გაჯერებულ ბაზარზე მოუწევთ დამკვიდრება, ეს კი მათ ბიზნესს კიდევ უფრო დიდ დარტყმას მიაყენებს“.**

მართალია, შსს საქართველოს მოქალაქეებს სამთვიან ვადას აძლევს, რათა მარჯვენასაჭიანი ავტომობილი არ შეიძინონ, მაგრამ არც ერთი იმპორტიორი არ არის დაზღვეული, ავტომობილის იაპონიიდან საქართველოში ჩამოყვანა დროში არ გაიწელოს. ჩვეულებრივ, შეკვეთის გაფორმებიდან, ავტომობილის ადრესატამდე მიტანის დრო ერთი თვეა. დავუშვათ, მოქალაქემ იანვარში გააფორმა შეკვეთა, ავტომობილი შეარჩია, ბანკიდან კრედიტი აიღო და კუთვნილ მანქანას თებერვლის ბოლოს ელოდება. მოხდა ისე, რომ უამინდობის, ან სხვა ობიექტური მიზეზის გამო, ავტომობილის ჩამოყვანა დროში გაიწელა და კუთვნილი ავტომობილი მარტის დასაწყისში ჩამოვიდა. როგორ უნდა მოიქცეს ამ შემთხვევაში იმპორტიორი, რომელიც ავტომობილებს ვეღარ განაბაჟებს, ან რა ხერხს უნდა მიმართოს მოქალაქემ, რომელსაც 1 მარტიდან ასეთი ავტომობილის რეგისტრაცია ეკრძალება?

დავით მესხიშვილი: **„პრობლემატური კითხვაა. შსს-ში გვიპასუხეს, რომ სამი თვე საკმარისია, რათა მოქალაქეებმა და იმპორტიორებმა მარჯვენასაჭიანი ავტომობილები აღარ შეუკვეთონ. შესაძლოა მანქანის ჩამოყვანა დროში გაიწელოს, ამიტომ 2016 წლის 1 მარტამდე ვადა, საკმარისი არ არის. ეს სერიოზული პრობლემაა. ზოგადად, როგორც მარჯვენა, ასევე მარცხენასაჭიანი ავტომობილების ფასი დაახლოებით, 30%-ით გაიზრდება! ამას რამდენიმე მიზეზი აქვს, იაპონიიდან იაფ ავტომობილებს ვყიდულობდით, მაგრამ ამ აკრძალვით, ყველაზე იაფიანი ბაზარი იკეტება. გარდა ამისა, ძველი ავტომობილების განბაჟება ძვირდება, ხოლო შედარებით ახალი ავტომობილის განბაჟება კი პირიქით, იაფდება. მაგალითად, თუ თქვენ 9 წელზე ასაკოვან, დავუშვათ, 11 წლის ავტომობილს შეიძენთ, რომლის ძრავის მოცულობა 2.0-ია, მისი განბაჟება 4 000 ლარი დაგიჯდებათ. თუ 1 კუბატურაზე, განბაჟების ფასი 2.00 ლარი იქნება, 2.0-იან ძრავაზე, განბაჟების ფასი 4 000 ლარი გამოდის, მაგრამ იგივე პრინციპით, თუ 7 წლის ავტომობილს შეიძენთ, მისი განბაჟება 2 000 ლარი დაგიჯდებათ. ეს ნიშნავს, რომ ძველი და ახალი ავტომობილების ფასები თითქმის გათანაბრდება და ავტომობილის შეძენა გაძვირდება“.**

ვერსიანიუსი

საქართველოსა და ჩინეთს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ მოლაპარაკებები იწყება

ეკონომიკის მინისტრმა ჩინურ მხარესთან ურთიერთგანზრახვის მემორანდუმს მოაწერა ხელი, რომლის საფუძველზეც, მხარეებს შორის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმებაზე მოლაპარაკებები გაიმართება.

ხელმოწერის ცერემონია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში გაიმართა, სადაც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი, დიმიტრი ქუმსიშვილი სამუშაო ვიზიტით იმყოფება.

„მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ორივე მხარე მოწადინებულია, რაც შეიძლება მალე დასრულდეს აღნიშნული მოლაპარაკებები, რათა კერძო სექტორს მიეცეს ბიზნესისა და სავაჭრო ბრუნვის გაზრდის შესაძლებლობა. ჩვენი ქვეყნისთვის ეს უმნიშვნელოვანესი მოვლენაა. დღეს ჩვენ 800 მილიონიან ბაზარზე გვაქვს პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმები, ხოლო ჩინეთთან ხელშეკრულების საბოლოო ხელმოწერის შემდეგ ეს უკვე იქნება სადღაც ორი მილიარდ ორასი მილიონის მოსახლეობაზე წვდომა, რაც ნიშნავს, რომ ჩვენს ქვეყანაში გაიზრდება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ოდენობა, შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები და ტრადიციული დარგებიც უკეთესად განვითარდება. ჩვენ გავაკეთეთ ძალიან დიდი აქცენტები ქართულ ღვინოსთან დაკავშირებით, ასევე აგრარულ პროდუქტებთან დაკავშირებით და დარწმუნებულები ვართ, მოლაპარაკებების ბოლოს ქართულ ღვინოს ექნება პრეფერენციული რეჟიმი ჩინეთში შემოსვლისთვის“, — განაცხადა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში დიმიტრი ქუმსიშვილის ვიზიტის ფარგლებში ასევე დაგეგმილია შეხვედრები ჩინეთის ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასა და აბრეშუმის გზის ფონდში. გარდა ამისა, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი შეხვედრებს გამართავს ჩინეთის ბიზნესწრეების წარმომადგენლებთან.

„პია“

მაია მიშელაძე
593-51-90-12

ელექტრონული სიგარეტი არომატული და საშიში საფყუარა

სხვადასხვა ინტერნეტსაიტსა და სოციალურ ქსელში, დიდი პოპულარობით სარგებლობს ელექტრონული სიგარეტი, როგორც მავნე ჩვევისგან თავის დაღწევის უალტერნატივო საშუალება. „ვერსიაში“ უკვე ვწერდით, რომ სიგარეტის აქციზის გადასახადის ზრდაზე მეტად საშიში, სწორედ ელექტრონული სიგარეტია, რომელიც, ჩვეულებრივი სიგარეტის მსგავსად, შეიცავს ნიკოტინს და სხვადასხვა ქიმიურ დანამატს. რაც მთავარია, ელექტრონული სიგარეტი გაცილებით მავნეა ჯანმრთელობისთვის, ვიდრე ჩვეულებრივი.

მაცდური და არომატული რეკლამა

ინტერნეტსაიტებზე უამრავ მაცდურ შეთავაზებას წააწყდებით, საიდანაც გაიგებთ, თითქოს ელექტრონული სიგარეტი ერთადერთი საშუალებაა, რომელიც მავნე ჩვევისგან გაგათავისუფლებთ. მისი ფასი, საშუალოდ, 50-დან 215 ლარის ფარგლებში მერყეობს. გააჩნია, კარტრიჯების რა რაოდენობა, რა სახის დამტენი, ან რა ტიპის არომატული სითხე მოჰყვება. თქვენ ნახავთ კარტრიჯებს ნიკოტინის, მარწყვის, ალუბლის, ატმის, ყურძნის, ბანანის, მწვანე ვაშლისა და თქვენ წარმოიდგინეთ, „რედბულის“ არომატითაც კი.

გაგაცნობთ ერთ-ერთ შეთავაზებას, სადაც მითითებულია, რომ **„ელექტრონული სიგარეტი არის ელექტრონული მოწყობილობა, რომელიც შედგება ელემენტის, ორთქლის გენერატორის (Atomizer), აორთქლების პროცესის კონტროლის მიკროპროცესორისა და კარტრიჯისგან. ელექტრონული სიგარეტის მოწევა 100%-ით იძლევა ჩვეულებრივი სიგარეტის იმიტაციას. თქვენ ზუსტად იგივე განცდა გექმნებათ, როგორც ჩვეულებრივი სიგარეტის მოწევის დროს გაქვთ. ელექტრონული სიგარეტი არ შეიცავს ისეთ მავნე ნივთიერებებს, როგორსაც ნამდვილი სიგარეტი. რატომ არის ელექტროსიგარეტი უკეთესი? მისი საშუალებით შეძლებთ, სიგარეტის მოწევაზე უარის თქმის გარეშე, ნიკოტინის რაოდენობა თანდათან შეამციროთ; არ არის ცეცხლსაშიში და არ წარმოადგენს ცეცხლის წარმოქმნის საშიშროებას; არ აყვითლებს კბილებს, ფრჩხილებს, არ ტოვებს სუნს ხელებსა და ტანსაცმელზე; შეგიძლიათ გამოიყენოთ ყველგან, იქაც კი, სადაც ჩვეულებრივი სიგარეტის გამოყენება აკრძალულია, მაგალითად, აეროპორტებში, რესტორნებში, ბარებში, სასტუმროებსა და სხვაგან; არ აქვს ფერფლი და სუნი; თქვენ მუდამ არ იქნებით საფერფლისა და ასანთის ძიებაში“.**

ამის შემდეგ საკმაოდ მიმზიდველ სარეკლამო შეთავაზებასაც ნახავთ, რაც განსაკუთრებით, არამწეველთა ყურადღებას იპყრობს: **„თუ არამწეველი ხართ, მაგრამ ჩვეულებრივი სიგარეტის კვამლი განწუხებთ, ეს საკმარისი მიზეზია, რათა ელექტრონული სიგარეტის სახით, თქვენს მწეველ ახლობელსაც და საკუთარ თავსაც (?!) საჩუქარი გაუკეთოთ“.**

თამბაქოს კონტროლის ალიანსის ხელმძღვანელმა, **გიორგი ბახტურიძემ** „ვერსიასთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ ელექტრონული სიგარეტი ბაზარზე ახალი პროდუქტია და მის შესახებ მრავალმხრივი კვლევები ჯერ არ ჩატარებულა. თუმცა რამდენიმე საერთაშორისო კვლევა უკვე განხორციელდა, რომლითაც დადასტურდა, რომ ელექტრონული სიგარეტის კვამლი კანცეროგენულ და ტოქსიკურ ნივთიერებებს შეიცავს: **„ერთადერთი, რასაც ელექტრონული სიგარეტის კვამლი არ შეიცავს, ესაა მხუთავი აირი — CO. საერთაშორისო კვლევებით გაირკვა, რომ ელექტრონული სიგარეტის მოწევის შედეგად, ადამიანი უფრო მალე ავადდება, ვიდრე ჩვეულებრივი სიგარეტით და პირის ღრუს პათოლოგიებიც შედარებით ადრე ვითარდება. სამწუხაროდ, ელექტრონული სიგარეტის კარტრიჯი ნიკოტინს შეიცავს, ოღონდ თხევადი სახით და რაც მთავარია, ამ დროს, სიგარეტის მოწევის სრული პროცესი შენარჩუნებულია. ეს ნიშნავს, რომ სიგარეტზე მიჯაჭვულობა და ფსიქოლოგიური დამოკიდებულება, რაც თამბაქოს მომხმარებლებისთვის ყველაზე რთულად დასაძლევი ეტაპია, ელექტრონული სიგარეტის მოხმარების დროს, ფაქტობრივად, არ იცვლება! აქედან გამომდინარე, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია აცხადებს, რომ ელექტრონული სიგარეტი თამბაქოსთვის თავის დანებების საშუალება არ არის, ისიც ჩვეულებრივი სიგარეტია, ოღონდ მოდერნიზებული და თანამედროვე“.**

რატომაა საშიში ელექტრონული სიგარეტი?

როდის და როგორ გავრცელდა ელექტრონული სიგარეტი საქართველოში? თამბაქოს კონტროლის ალიანსის ხელმძღვანელი, გიორგი ბახტურიძე გვიამბობს, რომ დაახლოებით, სამი-ოთხი წლის წინ, ერთ-ერთმა კომპანიამ საქართველოს ბაზარზე ახალი პროდუქტი — ელექტრონული სიგარეტი შემოიტანა და საკმაოდ სერიოზული პრომოუშენიც განახორციელა. იმ პერიოდში, პრესით, ტელევიზიითა და სხვადასხვა სოციალური ქსელის საშუალებით, ვიდეორგოლი გავრცელდა, რომელშიც ერთ-ერთი ცნობილი, ახალგაზრდა გოგონა მონაწილეობდა. კლიპის შინაარსი ასეთი იყო: გოგონა მიდიოდა კაფე-ბარებში და როგორც მწეველ, ასევე არამწეველ ახალგაზრდებს ელექტრონულ სიგარეტს სთავაზობდა. გიორგი ბახტურიძის თქმით, იმ პერიოდშივე გავრცელდა კიდევ ერთი ვიდეორგოლი, რომლის მთავარი პერსონაჟი ელექტრონული სიგარეტის ერთ-ერთი შემომტანი იყო. კლიპში ეს პერსონაჟი აცხადებდა, რომ დიდი ხნის მანძილზე სიგარეტს ეწეოდა, მაგრამ ახლა ამ მავნე ჩვევისგან გათავისუფლდა. სიუჟეტის ბოლოს ჩანს, რომ ის უკვე ელექტრონულ სიგარეტს ეწევა.

გიორგი ბახტურიძე: „თამბაქოს ნაწარმი ნარკოტიკული პროდუქტია, რომელიც მილევად ბიზნესად ითვლება. ევროკავშირის ახალი პოლიტიკის შედეგად, 2040 წლისთვის, თამბაქოს მოხმარება 5%-ზე ნაკლები უნდა იყოს. ფაქტობრივად, ამ ბიზნესის არსებობას აზრი აღარ ექნება და შესაბამისად, თამბაქოს ინდუსტრია ინტენსიურად გადადის ელექტრონული სიგარეტის წარმოებაზე. თამბაქოს მწარმოებელმა უმსხვილესმა საერთაშორისო კომპანიებმა — „ფილიპ მორისმა“ და „ბრიტანულ-ამერიკულმა თამბაქოს კომპანიამ“ უკვე შეიძინეს ლიცენზიები, რათა ელექტრონული სიგარეტი აწარმოონ. როგორც გითხარით, ელექტრონული სიგარეტი ჩვეულებრივ სიგარეტზე მიჯაჭვულობას არ ხსნის; მეტიც — ადამიანი, რომელიც ელექტრო სიგარეტს მოიხმარს, კარტრიჯის დაცლის შემდეგ, ვიდრე ახალ კარტრიჯს შეიძენს, ისევ ჩვეულებრივ სიგარეტზე გადადის. სწორედ ამ მიზეზის გამო არ დაუპირისპირდა თამბაქოს ინდუსტრია ელექტრონული სიგარეტის გამოჩენას ბაზარზე. ისევ იმ ვიდეორგოლს დავუბრუნდეთ, რომელიც წლების წინ, საქართველოში გამოჩნდა, სადაც ელექტრო სიგარეტს არამწეველ ახალგაზრდებსაც სთავაზობენ. ჩათვალეთ, რომ არამწეველი, რომელიც ელექტრონული სიგარეტის მოხმარებას დაიწყებს, კარტრიჯის დაცლის შემდეგ, ჩვეულებრივ სიგარეტსაც უპრობლემოდ გასინჯავს და ხშირ შემთხვევაში, ასეც ხდება ხოლმე, რადგან სიგარეტის მოწევის ჩვევა მას უკვე გამომუშავებული აქვს. შედეგად, მწეველთა რაოდენობა მკვეთრად იზრდება, განსაკუთრებით კი არასრულწლოვანთა რიცხვი მატულობს“.

ვინაიდან ელექტრონული სიგარეტის წარმოების ლიცენზია „ფილიპ მორისმა“ და „ბრიტანულ-ამერიკულმა თამბაქოს კომპანიამ“ უკვე შეიძინა, ფაქტობრივად, დასტურდება, რომ ელექტრონული სიგარეტიც თამბაქოს ინდუსტრიის შემადგენელი ნაწილია. თუმცა გიორგი ბახტურიძემ „ვერსიას“ განუცხადა, რომ ელექტრონული სიგარეტი დაბეგვრის არანაირ რეჟიმში არ არის მოქცეული. ეს იმას ნიშნავს, ელექტრონული სიგარეტის იმპორტის დროს, მასზე არ ვრცელდება ის საკანონმდებლო რეგულაცია, რაც ჩვეულებრივი თამბაქოს ნაწარმის იმპორტის შემთხვევაშია გათვალისწინებული. შესაბამისად, არც მისი რეკლამაა აკრძალული. მეტიც, გიორგი ბახტურიძემ აგვიხსნა, რომ ელექტრონული სიგარეტი იმპორტიორებს ელექტრონული ხელსაწყოს სახით შემოაქვთ:

„სამიოდე წლის წინ, ელექტრონული სიგარეტის რეკლამირება უკანონოდ დაიწყეს, რადგან სხვადასხვა ვიდეორგოლების საშუალებით, პოპულარიზაციას უწევდნენ, როგორც თამბაქოზე თავის დანებების საშუალებას. არადა, არც ერთ სერიოზულ ორგანიზაციას ასეთი რეკომენდაცია გაუციათ, ამიტომ ელექტრონული სიგარეტის შემომტანებმა მომხმარებლები შეცდომაში შეიყვანეს. 2003 წლიდან, საქართველოში თამბაქოს ნაწარმის, მათ შორის, ნიკოტინისშემცველი პროდუქტების ტელე და რადიო რეკლამა აიკრძალა. როგორც უკვე გითხარით, ნიკოტინს ელექტრონული სიგარეტის კარტრიჯი შეიცავს. ჩვენ, თამბაქოს კონტროლის ალიანსი, უკვე დიდი ხანია ვიბრძვით, რომ ელექტრონული სიგარეტიც ისევე მოექცეს თამბაქოს კონტროლის ფარგლებში, როგორც ჩვეულებრივი სიგარეტი. ვითხოვთ, თამბაქოს პროდუქტის ჩამონათვალში შედიოდეს და ზუსტად გაიწეროს, როგორ და რა ფორმით უნდა დაიბეგროს. სამწუხაროდ, მთავრობის ყურადღება ვერ მივიქციეთ და ლოგიკური ეჭვი გვიჩნდება, რომ თამბაქოს ინდუსტრიის წარმომადგენლები ხელისუფლებას გაურიგდნენ. გასულ წელს, როდესაც თამბაქოს კონტროლთან დაკავშირებით, საკანონმდებლო ინიციატივა შევიმუშავეთ, ისიც აღვნიშნეთ, რომ ელექტრონული სიგარეტის რეალიზაცია რეგულირების სფეროში მოქცეულიყო, მაგრამ ზუსტად ეს მოთხოვნა ამოიღეს, რადგან დღესაც მაღალი თანამდებობები უკავიათ იმ პირებს, რომლებიც თამბაქოს ინდუსტრიასთან არიან დაკავშირებულნი“.

უპრეცედენტო ფაქტი

გიორგი ბახტურიძემ „ვერსიას“ ისიც განუცხადა, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრს უკვე მეოთხედ მიმართეს, რათა თამბაქოს კონტროლის სამთავრობო კომისიის სხდომა ჩატარდეს. მისი თქმით, სამთავრობო კომისია ორი წელია არ შეკრებილა, არადა, ამ მხრივ, უამრავი პრობლემა დაგროვდა და კანონი ყოველდღიურად ირღვევა.

გიორგი ბახტურიძე: „მაგალითად, თამბაქოს ინდუსტრია უკანონოდ ასპონსორებს თეატრებს, სკოლებსა და უნივერსიტეტებს. არადა, 2009 წლიდან ასეთი ქმედება აკრძალულია და კანონის დარღვევის შემთხვევაში, საჯარიმო სანქციაც მოქმედებს. სამწუხაროდ, პოლიტიკოსებს ვერ ვაგებინებთ, რომ დაუშვებელია, სწორედ სკოლებისა და უნივერსიტეტების სპონსორობის შედეგად, თამბაქოს ინდუსტრიამ პოპულარობა მოიპოვოს და ფაქტობრივად, ლოიალობა იყიდოს. თამბაქოს ინდუსტრიის წარმომადგენლები ამ მხრივ, ცივილიზებულ ქვეყნებში ვერაფერს აღწევენ, მაგრამ ჩვენნაირ, მესამე კატეგორიის ქვეყნებში, ისინი სხვადასხვა ჩინოვნიკებთან გარიგებებში ადვილად შედიან. სტუდენტებისთვის ფულის გადარიცხვით, ამა თუ იმ სოციალური პროგრამის დაფინანსებითა და კონკრეტული პირების მოსყიდვით ახერხებენ, რომ სამი წელია, თამბაქოს კონტროლის პროცესი საქართველოში მიშვებულია. მეტიც, რაც წელს ჩვენს ქვეყანაში მოხდა, ასეთი რამ არსად დაფიქსირებულა — თამბაქოს ინდუსტრია სახელმწიფომ დააფინანსა! სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში, ქართული კომპანია „თბილთამბაქო“, 2 500 000 ლარით დაფინანსდა. არადა, თამბაქოს კონტროლის პროგრამა საკმაოდ მიზერულად ფინანსდება, 2015 წელს, 100 000 ლარი გამოყვეს, რაც თამბაქოს კონტროლის მხრივ, ქვეყანაში მდგომარეობის შესაცვლელად, საკმარისი არ არის“.

გიორგი ბახტურიძე „ვერსიასთან“ საუბრისას იმასაც აცხადებს, რომ კარგი იქნება, თუ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო გარკვეულ რესურსს გამოყოფს და დაგეგმავს კვლევას, რათა ზუსტად ვიცოდეთ, რა რაოდენობის ელექტრონული სიგარეტი შემოდის საქართველოს ბაზარზე. მისი თქმით, ამგვარი სტატისტიკა არ არსებობს, რადგან ელექტრონული სიგარეტი ქვეყნის შიდა ბაზარზე სხვა დასახელებით ხვდება. იმის გამო, რომ ელექტრონულ სიგარეტზე დაბეგვრის ან რეკლამის აკრძალვის რეჟიმი არ მოქმედებს, თამბაქოს ინდუსტრია ამით სარგებლობს და შედეგად, ეს პროდუქტი სულ უფრო პრესტიჟული ხდება. გიორგი ბახტურიძე გვიამბობს, რომ ელექტრო სიგარეტი განსაკუთრებით მოდური ბოჰემურ საზოგადოებაშია — მსახიობები, მუსიკოსები და ცნობილი პირები, რომლებიც ადრე მწეველები იყვნენ, ახლა ელექტრო სიგარეტზე გადავიდნენ და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში სიგარეტის ნაცვლად, სწორედ ელექტრო სიგარეტს მოიხმარენ.

ვერსიანიუსი

წლის ადამიანი ანგელა მერკელი გახდა

ბრიტანულმა გამოცემამ TIME წლის ადამიანი გამოავლინა. 2015 წლის ყველაზე გავლენიან ადამიანად გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი დასახელდა.

როგორც BBC იტყობინება, აღნიშნული გადაწყვეტილების მიზეზი გერმანიის კანცლერის ლიდერობა გახდა ისეთ საკითხებში, როგორიცაა ევროპის ვალდებულებების, ლტოლვილებისა და მიგრანტების კრიზისი.

წლის პერსონის მოპოვების შანსი ანგელა მერკელთან ერთად ვლადიმერ პუტინს, დონალდ ტრამპსა და კიდევ 5 ადამიანს ჰქონდა, მათ შორის იყვნენ „ისლამური სახლემწიფოს“ ლიდერი და ირანის პრეზიდენტიც.

საქართველო ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლას ივნისიდან ან ივლისიდან მიიღებს

გერმანული გამოცემა BILD-ის ინფორმაციით, ევროკავშირი საქართველოსა და უკრაინისთვის სავიზო რეჟიმს გააუქმებს. გამოცემა ამ ინფორმაციას ევროკავშირის ერთ-ერთ დიპლომატზე დაყრდნობით ავრცელებს, რომელიც სავიზო რეჟიმის მოხსნის კონკრეტულ ვადასაც ასახელებს: **„ორივე ქვეყნისთვის უვიზო რეჟიმი შემოღებული იქნება 2016 წლის შუა ნაწილში და საქართველოსა და უკარინის მოსახლეობას ევროკავშირის ქვეყნებში შესვლა უვიზოდ შეეძლებათ“.**

გამოცემის ინფორმაციით, საქართველოსა და უკრაინის მოქალაქეებისთვის, ევროკავშირში უვიზო მიმოსვლა 2016 წლის ივნისიდან ან ივლისიდან იქნება შესაძლებელი. მანამდე კი ევროკომისიას სურს, 15 დეკემბრის შუალედური ანგარიშით პოზიტიური ნაბიჯები გადადგას ვიზალიბერალიზაციის კუთხით.

„პია“

ნინო კომახიძე
599-95-33-16

„მოვითხოვ, ხელისუფლებამ და ირაკლი ალასანიამ გამოიძიონ ეს ორი საქმე!“



ზუგდიდის საკრებულოს ყოფილ დეპუტატს კახა მიქაიას, საზოგადოება ამ სტატუსითა და 2012 წელს დაწყებული ბრძოლით არ იცნობს. მისი პოლიტიკური აქტიურობა 90-იანი წლებიდან და ეროვნული მოძრაობიდან იწყება და „დაიცავი საქართველოსა“ და „ამომრჩეველთა ლიგის“ წევრობით გრძელდება. თითქმის ყველა არჩევნების დროს, მიქაია ზუგდიდში ოპოზიციის ინტერესებს იცავდა და სწორედ ამ პერიოდში მართავდა ერთკაციან და ერთკარვიან აქციებს ახალაიების წინააღმდეგ. ძმები გაჩეჩილაძეების მეგობარი და გაერთიანებული ოპოზიციის ერთ-ერთი სახე, 2012 წელს, „დაიცავი საქართველოს“ ეგიდით, ზუგდიდის საკრებულოში „ოცნების“ სიით შევიდა, მაგრამ არც ისე დიდი ხნის წინ „ოცნებამ“ დეპუტატის უფლებამოსილება შეუწყვიტა, რადგან მიქაია ხელისუფლებასთან ოპონირების რეჟიმში დარჩა. მიუხედავად იმისა, რომ თავს „ოცნების“ მომხრედ მიიჩნევს, ზუგდიდის ადგილობრივ ხელისუფლებას, ფაქტობრივად, ყველა დონეზე უპირისპირდება და აცხადებს, რომ პროკურატურასთან ბევრი კითხვა აქვს. „ვერსიასთან“ კახა მიქაია ზუგდიდში არსებულ პოლიტიკურ ვითარებაზე, ძმებ გაჩეჩილაძეებსა და იმ მთავარ კითხვებზე საუბრობს, რომელიც 2012 წლის შემდეგ კვლავ პასუხგაუცემელი რჩება.

— „ოცნების“ შედარება ნაციონალებთან არ შეიძლება, მაგრამ ე.წ. კოჰაბიტაცია სამეგრელოში რთულად მიმდინარეობს. ნაციონალების რეჟიმმა მძიმე კვალი დატოვა იქ, ამიტომ მოსახლეობას ამ მდგომარეობიდან გამოსვლაში ხელისუფლებაც უნდა დახმარებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. ყოფილი „ზონდერები“, როლანდ ახალაიას შტაბის უფროსები, ექსნაციონალები და გამყალბებლები პოსტებზე არიან, მაგრამ ეს აუცილებლად დასრულდება — ხალხს სურს ასე და მისი ნება უზენაესია. ისინი, ვინც მაშინ რეჟიმს ებრძოდა და პროტესტს გამოხატავდა, დღეს ხელისუფლებაში იგივე სახეებს ხედავენ, რაც შეურაცხმყოფელი და საშიშია. თუ „ოცნება“ ამას არ გაითვალისწინებს, მისთვის ყველაფერი ბანალური ჭეშმარიტებით დასრულდება — აღარ აირჩევენ. არ მგონია, „ოცნებამ“ ეს არ იცოდეს. მე კი, 2012 წელს „ოცნების“ სიაში „დაიცავი საქართველოს“ ეგიდით ვიყავი, მაგრამ ამ პარტიის წევრი არასდროს ვყოფილვარ.

— სამაგიეროდ, „ოცნების“ გადაწყვეტილებით, საკრებულო დატოვეთ. მეტიც, ზუგდიდში თურმე ვიღაცები ნაჯახითაც გამოგეკიდნენ, სამეგრელოს გუბერნატორ შონიასა და სხვა მაღალჩინოსნებთან დაპირისპირება გაქვთ. მოკლედ, ყველაფერი ისევეა, როგორც ნაციონალების დროს იყო. ახლა „ოცნების“ ოპოზიცია ხართ?

— „ოცნების“ იდეის მომხრე დღესაც ვარ, იმის მიუხედავად, რომ კოალიციაში ბევრი პრობლემაა. ბევრ რამეს ახლაც ვაპროტესტებ და დიახ, ჩემი აქტიურობის გამო, ჩემს წინააღმდეგ ნაჯახიც გამოიყენეს. ეს ყოფილმა ვითომ ზვიადისტმა, სააკაშვილის მომხრემ და ამჟამად „ოცნების“ წევრმა გააკეთა, რომლის შვილიც ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსია გუბერნიაში. შონიას რაც შეეხება, მასზე იუმორით გეტყვით — გუბერნატორია და მეტი არაფერი. დამიჯერეთ, „ოცნების“ მიმართ ჩემი კრიტიკა ყოველთვის პოზიტიურია, მინდა, რაღაც უკეთესობისკენ შეიცვალოს. ახლაც ეს იყო ჩემი მიზანი: საკრებულოს ის საკითხები განეხილა, რაზეც მსჯელობის მოსმენა ხალხსაც სურს და არა მხოლოდ საკუთარი ხელფასები და პრემიები. ყველას ვეუბნებოდი, არ მაინტერესებს, რას ლაპარაკობენ პოლიტიკურ კულუარებში — მთავარია, რას ამბობს ხალხი-მეთქი. იმის უნარი ნამდვილად მაქვს, ხალხის აზრი გავაანალიზო და ხელისუფლებას გავაცნო. რადიკალური ცვლილებების გარეშე შესაძლოა, მომავალ არჩევნებზე, ხელისუფლების ლეგიტიმაცია ძალიან დაბალი იყოს, მაგრამ, ჩანს, ამ საკითხებზე მსჯელობა „ოცნებაში“ პორტირებულ ნაციონალებს არ სურთ.

— ვიცი, ამის გამო სხდომებს აღარ ესწრებოდით და თქვენი გამოგდების მიზეზიც ეს გახდა. საკრებულოში და ზოგადად, ზუგდიდში ამინდს ისევ ნაციონალები ქმნიან?

— ჯერ ერთი, საკრებულოს წევრებისთვის არაფერი დამიმალავს, პირდაპირ ვუთხარი, რომ ბოიკოტის რეჟიმზე გადავდიოდი. „პორტირებულები“ კი ბევრნი არიან: საკრებულოს თავმჯდომარეცა და „ოცნების“ ფრაქციის თავმჯდომარეც ყოფილი ნაციონალები არიან, მეტი რაღაა სალაპარაკო. ჩემი მცდელობა ამ ხალხმა მტრობად აღიქვა და უკვირდათ, საერთოდ რატომ ვაკრიტიკებდი. დღესაც ხელისუფლებაში მყოფი ერთი კაცი მეკითხებოდა, როგორ ახერხებ, რომ ყველა ხელისუფლების ოპოზიციაში ხარო. მე კი ის უფრო მიკვირს, ის და მისნაირები როგორ ახერხებენ, რომ ყველა ხელისუფლების საცობი იყვნენ?! როგორ შეიძლება, ისევ იმ ხალხს ხედავდე პოსტებზე, ვისმა გუნდმაც ჩვენს კუთხეს გადაუარა. რაც ჩემმა რეგიონმა გადაიტანა, სხვას არ გამოუცდია და „კასრების კადრები“ ამ ტანჯვის მხოლოდ ნაწილია. სააკაშვილმა მთელი სამეგრელოს გაუპატიურება მოინდომა! შიშში, უბედურებაში ვცხოვრობდით, არ ვიცოდით, როდის რა შეგვემთხვეოდა. ადამიანებს შეურაცხყოფას აყენებდნენ, თავს ესხმოდნენ, აუპატიურებდნენ, ხოცავდნენ, იტაცებდნენ, მერე არჩევნებზე მიჰყავდათ და 5 ნომერს ახაზვინებდნენ — იცით, ეს არის აუტანელია! მე კი ამ ყველაფრის შუაგულში ვიყავი, სულ რამდენიმე ადამიანთან ერთად. მაშინ ჩვეულებრივ კი არა, უღრმეს უმცირესობაში ვიყავი, მაგრამ არ გავჩერდი და ჩვენი მაინც ისმოდა სამეგრელოდან. ამიტომ როლანდ ახალაიასა და მის პორტირებულ ნაცებს ნუ ეგონებათ, ტრიბუნა წამართვეს — ჩემი ხმა ისევ ისმის სამეგრელოდან.

— ისე, თქვენი მეგობრების ხმა რატომ არ ისმის. სად არიან „დაიცავი საქართველოს“ ლიდერები, ძმები გაჩეჩილაძეები? გასაგებია, რომ ლევან ჩიკვაიძე ფოსტის უფროსად დაინიშნა, კოკა გუნცაძე — რკინიგზის, მაგრამ ყველაფერი კარგადაა დღეს ქვეყანაში, ბრძოლა დამთავრდა?

— ბრძოლა არასდროს სრულდება, მით უმეტეს, არა მგონია, ყველაფერი რიგზე იყოს. ბრძოლა ყველას იქიდანაც შეუძლია, სადაც არის, ამიტომ აჯობებს, ეს კითხვა მათ დაუსვათ. „გრეჩიხებზე“ იმის თქმა შემიძლია, რომ სახლში არიან. ლევანს რაღაც ბიზნესპროექტები აქვს, თავს კარგად გრძნობს და სპორტითაა დაკავებული. „უცნობს“ თავისი ბრძოლა აქვს „მაესტროზე“, თუმცა ამ საკითხში ჩახედული არ ვარ. დღემდე აქტიური ურთიერთობა გვაქვს და როგორც ვიცი, პოლიტიკაზე საერთოდ არ ფიქრობენ. ყოველ შემთხვევაში, ამ თემაზე არასდროს გვისაუბრია. ჩვენი ურთიერთობა კი გრძელდება, ისინი ყოველთვის ჩემს ძმაკაცებად და თანამებრძოლებად დარჩებიან, რადგან ამ მეგობრობის საფუძველი ჩვენი ერთობლივი, თავგანწირული ბრძოლაა. რაც შეეხება დანარჩენებს, ისინიც ჩემი მეგობრები და თანამებრძოლები არიან და ვფიქრობ, ნამდვილად დაიმსახურეს ადგილი, სადაც დღეს არიან. დანარჩენი მათ უნდა ჰკითხოთ.

— თქვენ რატომ დარჩით „ოპოზიციონერის“ მდგომარეობაში, დავიჯერო, არავის არაფერი შემოუთავაზებია?

— სადაც უნდა წავიდე, ვერასოდეს დავივიწყებ, რა გამოვიარე. კმაყოფილი და გაჩუმებული ვერ ვიქნები. ჯერ კიდევ შევარდნაძის მთავრობიდან მოყოლებული, ჩემთან შემოთავაზებით, შენ გაჩუმდი და იქ დაგნიშნავ ან ამას მიიღებო, არავინ მოსულა, რადგან კარგად იციან, ეს ამბავი არ გამოვა! ვერასოდეს გავჩუმდები, იმდენად მძაფრია ჩემი კუთხის პრობლემები, ისეთი თვალშისაცემი და მტკივნეული მდგომარეობაა სამეგრელოში. ხალხი ამ მარაზმიდან ჯერაც ვერ გამოსულა და ამაზე აღარც ვისაუბრო? სამეგრელოს სხვანაირი, სათუთი მოპყრობა უნდა. ეროვნული მოძრაობიდან მოყოლებული, ქვეყანაში არცერთი სერიოზული პოლიტიკური მოვლენა სამეგრელოს გარეშე არ მომხდარა. ამ მოვლენების ცენტრშიც ყოველთვის ჩვენ ვიყავით. სააკაშვილი ბრიყვი არ იყო, იცოდა, თუ სამეგრელოს საბოლოოდ არ დააჩოქებდა, მის წინააღმდეგ პროტესტი ისევ სამეგრელოდან წამოვიდოდა. ამიტომაც ჰყავდა მობილიზებული იქ უხეში ძალა — ახალაიები, გოროზიები, ლომაიები, კოდუები, რომელთა სახელთან წამება, გაუპატიურება, გატაცება ასოცირდება. მათ სამეგრელოს დაჩოქება მოინდომეს და შეასრულეს კიდეც. იცით, რა მძიმეა, როცა შენი კუთხის ხმა არ ისმის, ამას მხოლოდ 3-4 კაცი ცდილობს და ყველა დანარჩენი კეთროვანივით გიყურებს. ამიტომ ვფიქრობ, ძველი დრო აღარასდროს განმეორდება.

— ამ დროს, სამეგრელო მუდმივად ნაციონალებისა და სააკაშვილის მთავარ დასაყრდენად და მხარდამჭერად მიიჩნეოდა არჩევნებში. დღეს ვისი დასაყრდენია?

— ყველაფრის მიუხედავად, იმედი გვაქვს, „ოცნება“, ბიძინა ივანიშვილის მეთაურობით, კოჰაბიტაციას დაასრულებს და დაწყებულ საქმეს ბოლომდე მიიყვანს.

— თუმცა, „ოცნებამ“ ვერც 2012 წელს გაიმარჯვა — არჩევნები თითქმის პირწმინდად წააგეს, მათ შორის, ირაკლი ალასანიამ ზუგდიდში. შემდეგ გვესმოდა, შედეგები გაყალბდა, რასაც გამოძიებაც დაადასტურებსო. მუდმივად რჩება კითხვა — რა მოხდა მაშინ, როგორ წააგო „ოცნებამ“ ასე მშრალად და სად არის ამ გამოძიების შედეგები?

— ვამბობდი, რომ „ოცნება“ სამეგრელოში არჩევნებს წააგებდა და ამის გამო მაშინ ადამიანების ჯგუფი დამიპირისპირდა, მაგრამ მე კარგად ვიცოდი იქაური განწყობა. ეს კი ისე აღიქვეს, თითქოს „ოცნებას“ ვეწინააღმდეგებოდი. ყველა გავაფრთხილე, საქმე ისე არ არის, როგორც გგონიათ და არც ძალა და არც ალღო გეყოფათ, ზუგდიდში ახალაიას მანქანას დაეტაკოთ-მეთქი. არ მომისმინეს და რეალურად ვერ შეაფასეს ახალაიების ძალა. საბოლოოდ, სამეგრელოში 2012 წლის არჩევნებზე ისეთი რამ მოხდა, ვისურვებდი, მომავალში ჩემს კუთხეში კი არა, მთელ საქართველოში აღარასოდეს განმეორდეს. ბევრ რამეზე გული მწყდება, კითხვებიც მაქვს და ამაზე უშუალო ადრესატებთანაც არაერთხელ მისაუბრია, მაგრამ პასუხები ვერ მივიღე. სამეგრელოში არჩევნები გაიყიდა! სხვას ვერაფერს გეტყვით, დანარჩენი გამოძიებამ დაადგინოს.

— დავუშვათ, ამის ამოქექვა „ოცნებას“ თავად არ აწყობს, მაგრამ იმ ხმამაღალ განცხადებებს რა ვუყოთ ე.წ. შეიარაღებული ბანდფორმირებების შესახებ, რომლებიც ტყეებსა და სოფლებში იყვნენ გამაგრებულნი და რომელთა სახელთანაც დღეს ე.წ. კასრების კადრებსაც აკავშირებენ. სად არიან ეს ე.წ. რეზერვისტი ზონდერები, ხელისუფლებასთან, ნაციონალებთან თუ არც არსებობდნენ?

— „ნებაყოფლობით რეზერვს“ რაც შეეხება, ამაზე თავიდან სწორედ მე დავიწყე საუბარი და შემდეგ ალასანიამ გაიმეორა. მას ახალი არაფერი უთქვამს, მაგრამ მადლობელი ვარ, ეს თემა მაღალი ტრიბუნიდან რომ გააჟღერა. დღემდე ვითხოვ გამოძიებას და არც ერთ კითხვაზე პასუხი არ მიმიღია. შეიარაღებული ხალხი ჩემი თვალით ვნახე სქურის ტყეში, როცა მათ ბანაკებს რამდენიმე ჟურნალისტსა და თანამოაზრესთან ერთად თავზე დავადექი და რა ვთქვა ახლა, მომელანდა-მეთქი?! ისინი ბაჩო ახალაიას კონტროლქვეშ იყვნენ. მერე, როგორც ალასანიამ თქვა, ამ ხალხის ინკორპორირება თავდაცვის სამინისტროში მოხდა. მათ დასჯას არ ვითხოვ, რადგან შემსრულებლები იყვნენ. დღემდე მხოლოდ იმის გარკვევა მინდა, ვის ეკუთვნოდა ჯგუფების შექმნის იდეა, რა მიზნით შეიქმნა და საიდან ფინანსდებოდა? გასაგებია, ეს თემები დღეს ჩაიფარცხა, მაგრამ ყველამ გაითვალისწინოს, სამეგრელოს მოტყუება რთულია, იმდენი რამ გადავიტანეთ, ძნელია, გაგვაცურონ! მივმართავ ხელისუფლებასა და ირაკლი ალასანიას — გამოიძიეთ ეს ორი საქმე!

— ჯერჯერობით, ახალაია ვაშლის გათლისა და მსგავსი ათამდე უაზრო ბრალდებით იხდის სასჯელს და ლამის გმირადაა შერაცხული. არც იმის პოლიტიკური ნება ეყო „ოცნებას“, მისთვის რეალური ბრალი წაეყენებინა?

— არ ვიცი, რა და როგორ მოხდა, მაგრამ პირველ რიგში, პროკურატურის უსუსურობა ჩანს, შესაძლოა, არც სათანადო პოლიტიკური ნება იყო. ყველა უკეთურობა, რაც სამეგრელოში მოხდა, ახალაიების კლანის დამსახურება იყო, თავის ქვევრებიანად, მეგის ქარდავებიანად და რომან შამათავებიანად! ეს ყველამ იცის და ეტყობა, კოჰაბიტაციაც ამის შედეგია. თუმცა მგონია ყველაფერი 2016 წელს საბოლოოდ დასრულდება.

— ბიძინა ივანიშვილის პერსონალური ჩარევის გარეშე? არჩევნებს კოალიცია მაინც მოიგებსო, პარტია „ოცნების“ ერთ-ერთმა ლიდერმა, ირაკლი კობახიძემ განაცხადა და ვიცი, ეს შეფასება მწვავედ გააკრიტიკეთ.

— ბიძინა ივანიშვილის გარეშე კოალიცია არჩევნებს ვერ მოიგებს. იქ ბევრი მეგობარი მყავს, ყველას პატივს ვცემ, ვიცნობ, ერთადაც გვიბრძოლია, მაგრამ ივანიშვილის გარეშე ვერანაირ შედეგს დადებენ. თავი არ უნდა მოვიტყუოთ — ამ არჩევნებს პერსონალურად ივანიშვილი მოიგებს, თუმცა რაღაც წვლილი კოალიციის პარტიებსაც ექნებათ. თან ახლა არც ნაციონალების დაბრუნების პრობლემა დგას, ეს სახადი უკვე მოვიხადეთ — მთავარია, რამდენად მაღალი იქნება ხელისუფლების ლეგიტიმაცია და როგორ შეძლებს „ოცნება“ ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებასა და ნატო-ს გზაზე საბოლოოდ გაყვანას.

— ისე, მსმენია, სამეგრელოში ბევრი ევრაზიულ კავშირს უჭერს მხარსო. არც ბოლო, ზოგადი გამოკითხვები იყო დამაიმედებელი — პრორუსული პოლიტიკის მომხრეთა რიცხვი გაორმაგებულია, რატომ?

— გარდაუვალია, საქართველო ევროპის ნაწილი გახდება! ამ რელსებიდან ველარავინ გადაგვიყვანს, მით უმეტეს, „ოცნებას“ სერიოზული გადაცდომები არ აქვს. შესაძლოა, საგარეო ვექტორის შეცვლის შესახებ რაღაც განცხადებები ისმის, მაგრამ არასოდეს არაფერი შეიცვლება. არც ის დაიჯეროთ, რომ სამეგრელოს რუსეთთან უნდა ყოფნა. ზვიადგამსახურდია და ეროვნული მოძრაობა, რომელიც ყველაზე ძლიერი იყო ჩვენთან, პირდაპირ ევროპისკენ იყო მიმართული და ხალხი დღემდე ამ სურვილით მოდის. ვინც დაიჯერებს, რომ სამეგრელოში განწყობა ევრაზიული კავშირისკენაა მიმართული, ან ბრიყვია, ან — პროვოკატორი!

— ბატონო კახა, თქვენ თუ აპირებთ არჩევნებში მონაწილეობას, ვისი სახელით ან ზუგდიდის მაჟორიტარობის კანდიდატი ხომ არ იქნებით?

— ჯერ ვერაფერს გეტყვით, ამაზე საუბარი არ ყოფილა და არათუ ჩემს შესახებ, იმაზეც კი არ მაქვს ინფორმაცია, საერთოდ ვინაა მოაზრებული ზუგდიდის მაჟორიტარ კანდიდატად. ჩემი კუთხის ხალხი, პირველ რიგში, სოციალური პრობლემების მოგვარებას ითხოვს და სამართლიანობის რეალურ აღდგენას. მეგრელი ხალხი გონიერია — ისინი ივანიშვილის რეალურ შემცვლელს ვერც პაატა ბურჭულაძესა და ვერც უკრაინელ მილიარდერში ხედავენ. ამაზე საუბარი არასერიოზულია. ამიტომ ჯერ ერთი, სხვა ალტერნატივა არც აქვთ და მეორე — სჯერათ, რომ ივანიშვილი, თავისი ავტორიტეტითა და რესურსით, ხალხს ამ ჩაკეტილი წრიდან მაინც გამოიყვანს.

ვერსიანიუსი

დავით კირვალიძე „თავისუფალ დემოკრატებში“ გაწევრიანებას უარყოფს

სოფლის მეურნეობის ყოფილი მინისტრი დავით კირვალიძე „თავისუფალ დემოკრატებში“ გაწევრიანების შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას არ ადასტურებს.

კირვალიძის განმარტებით, „თავისუფალ დემოკრატებში“ გაწევრიანებას არ აპირებს, ამერიკაში ერთ-ერთ კომპანიაში მუშაობს და საქართველოში მხოლოდ ორი დღის წინ ჩამოვიდა. შესაბამისად, ალასანიას პარტიაში მისი გაწევრიანების შესახებ გავრცელებული ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება. გავრცელდა ინფორმაცია, რომ სოფლის მეურნეობის ყოფილი მინისტრი „თავისუფალ დემოკრატებში“ გაწევრიანებას აპირებს.

დავით კირვალიძე სოფლის მეურნეობის მინისტრის პოსტს 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ 2013 წლის 2 მაისამდე იკავებდა. მან თანამდებობა „ტრაქტორების საქმის“ სკანდალის გამო დატოვა, რა დროსაც სოფლის მეურნეობის სამინისტროს მაღალჩინოსნები კორუფციის ბრალდებით დააკავეს.

„პია“

10 ათას დოლარად „ნაყიდი“ „კაზლიატნიკი“

როგორ დარჩა ფიქრებში გართული ყომარბაზს „თავანი“ მეტროს ვაგონში

პატიმარი №0578

ერთი ბიჭი იყო ჩემს მეზობლად... „დიადი კომუნიზმის“ დროს ქუჩაში 40 ათასი მანეთი იპოვა. უფრო სწორად, სადგურზე კაცს მოპარა ჩანთა და იქ იდო ეს თანხა. არადა, მაშინ 40 ათას მანეთად „ვოლგას“ იყიდდა კაცი. ამან კი თანხა არ გამოაჩინა, იმდენი მოახერხა, 17 წლის ასაკში რუსეთში წავიდა, თავზე დაიმხო მოსკოვი და იქ დაიჭირეს — ახალგაზრდას ამხელა თანხა არ უნდა ჰქონოდა! დაკავებისას მხოლოდ რვა ათასი მანეთი ჰქონდა დარჩენილი. ერთადერთი, რასაც ეკითხებოდნენ, ვის მოპარა ფული. არ აინტერესებდათ, რატომ მოიპარა, რაში დახარჯა... ფულის დამკარგავს ეძებდნენ, მაგრამ ამან ვერ გაიხსენა. საქართველოში დაბრუნების შემდეგ, ჩვენმა მილიციამ „ივარგა“ და ეს ბიჭი, „პროფილაქტიკის“ მიზნით, ერთი წლით ჩასვა. ერთი წლის შემდეგ ციხიდან ჩამოყალიბებულ კრიმინალად გამოვიდა. დაახლოებით ორ წელიწადში კი, ყაჩაღობის დროს ჩაცხრილეს. სხვათა შორის, ოჯახის პატრონმა მოკლა და არა მილიციამ...

რუსთავის №17 დაწესებულებაში, ე.წ. კაზლიატნიკში ერთი ბიჭი იჯდა, რომელზეც ხშირად ამბობდნენ, მეტრომ დაღუპა, თორემ ამას აქ რა უნდოდაო... შოთა ერქვა, თავდახრილი დადიოდა, არავის ეკონტაქტებოდა და ბიჭები ამბობდნენ, მეტრო რომ არა, ახლა ქურდი იქნებოდაო. პატიმარი №0578 შოთას შორიდან აკვირდებოდა ხოლმე, რამდენჯერმე საუბრის დაწყებაც სცადა, მაგრამ არ გამოუვიდა. არანაირი სურვილი არ ჰქონდა, ვინმესთან ესაუბრა, რამე ეთქვა ან ეკითხა. როგორ არ მოუარა №0578-მა, მაგრამ ვერაფერს გახდა, თუმცა ყველაფერი მოულოდნელად გაირკვა.

ზონაზე პატიმრების ახალი ნაკადი მოიყვანეს. ახლებს ძველები ყურადღებით ათვალიერებდნენ, ეგებ, ვინმე ნაცნობი აღმოვაჩინოთო და ამ დროს №0578-მა დაინახა, როგორ დაეძაბა სახე შოთას ერთ-ერთი პატიმრის დანახვისას. არადა, სწორედ მას შემოეხვივნენ მაყურებლები, ჩვენი ძმა, როგორ ხარო. ახალ პატიმარს ვაჟა ერქვა, „კაი ბიჭების“ კასტას ეკუთვნოდა და ადგილი მაყურებლების კამერაში გამოუყვეს. №0578-მა ურთიერთობა მალე ააწყო ვაჟასთან, ერთ დღეს კი, ვითომც არაფერი, ისე ჰკითხა: „აქ ერთი პატიმარია, შოთა ჰქვია და... როცა მოგიყვანეს, ისე შემოგხედა, ვიფიქრე, მტერი დაინახა-თქო. იცნობ?!“

„როგორ არ ვიცნობ! ჩემი დამსახურებაა, „კაზლიატნიკში“ რომ არის და იმსახურებს კიდეც“, — უდარდელად თქვა ვაჟამ.

„ნახევარი წელია ვწვალობ, მაგ შოთას რამე ვათქმევინო, მაგრამ ახლოს არ მიკარებს, დანარჩენები კი მარტო იმას ამბობენ, მეტრომ დაღუპაო. გამოდის, შენ დეტალები იცი და თუ ჩემი ძმა ხარ, მომიყევი, არ დამიმალო“, — გაუღიმა №0578-მა.

„ბევრი არც არაფერია მოსაყოლი. მაგ შოთამ ყომარში რამდენჯერმე დიდი მაყუთი მომიგო და პატიოსნად ჩავაბარე. ერთ დღესაც მე მოვუგე ათი ათასი დოლარი. მოვიდა ჩაბარების დღე, სპორტის სასახლესთან უნდა შევხვედროდით სამ საათზე. გაფითრებული მოვიდა, ფული თან მქონდა და მეტროში დავკარგეო. ვინ დაუჯერებდა? ათი ათასი ჯიბეში გიდევს და მეტროში ჩადიხარ? უკეთესი ტყუილი ვერ მოიფიქრა. იქვე ვუთხარი, დამთავრდა შენი კაი ბიჭობა მეთქი. ოთხის ხუთი წუთი იყო. სპორტის სასახლის წინ რომ რაღაც კაფეა, იქ შევარდა ვითომ საყაჩაღოდ და დაიჭირეს. ქურდულად ეს „აპრავდანიეა“, ანუ თავნის ფულს ჩალიჩობ და დაგიჭირეს, მაგრამ ჩემს გარდა იქ კიდევ სამი კაცი იყო, საათზე დავახედე, ოთხი იყო დაწყებული, ანუ დროში ვერ ჩაეტია. ჰოდა, სროკზე რომ წამოვიდა, ჩემი სიტყვაც გამოვაყოლე, მაგის კაი ბიჭობა დამთავრდა-მეთქი და კი არის ახლა კაზლიატნიკში. სულ ეს იყო და ალბათ მოყოლა იმიტომ არ უნდა, რომ თავადაც მიხვდა, ათიათასდოლარიანი კაცი მეტროში არ ჩავა“, — დაასრულა ვაჟამ.

ორი დღის შემდეგ, პატიმარი №0578 შოთას პაემნების ოთახში შეხვდა. არავის ელოდა, ისე შემოიხედა, რადგან „კაზიოლებს“ მთელ ზონაზე თავისუფლად მოძრაობის უფლება ჰქონდათ. როცა №0578 დაინახა, შეცბა, უკან გაბრუნება დააპირა, მაგრამ პატიმარმა შეაჩერა: „შოთა, საქმე მაქვს“.

„კაზიოლი“ უხერხულად გაჩერდა, თავი დახარა და ხმას არ იღებდა. პატიმარი №0578 კი მშვიდად უყურებდა და მოულოდნელად ჰკითხა: „როგორ გგონია, რა ადგილას დაკარგე ფული? ანუ შენი აზრით, შემთხვევით დაკარგე, ამოგაცალეს...“

შოთამ გაოცებისგან პირი დააღო. ყველა კითხვას ელოდა, ამას კი არა.

„რაა? რომელი ფული? შენ ვინ გითხრა... ა, ჰო... ვაჟა... არა, არ ამოუცლიათ, დამრჩა. სკამზე მედო და დამრჩა. ფიქრებში ვიყავი გართული, მატარებელი რომ გაჩერდა, ავდექი, გამოვედი და ვაჟა რომ დავინახე, მაშინ მივხვდი, რომ ფული დამრჩა. მართლა დამრჩა, დის სულს გეფიცები, დამრჩა“, — ლამის ტირილი დაიწყო შოთამ.

„მე ნუ მიმტკიცებ, რომ ის ფული გქონდა, ისედაც ვიცი, რომ გქონდა, მაგრამ ერთ რამეს ვერ ვხვდები — მეტროში რატომ ჩახვედი? ტაქსით რატომ არ მიხვედი ადგილამდე?!“ — ჰკითხა №0578-მა.

„და საიდან იცი, რომ მქონდა?“ — ეჭვით ჰკითხა შოთამ.

„ლოგიკით. რომ არ გქონოდა, მანამდე იყაჩაღებდი, მანამდე წახვიდოდი სროკზე, ანუ როგორც კი მიხვდი, რომ დროში იწვებოდი, ადექი და შევარდი იქ, სადაც ყველაზე ახლოს იყო შესავარდნი. ფული რომ არ გქონოდა, მეტროთი არ გახვიდოდი ვაჟას სანახავად და იმის დასანახად არ დაიწყებდი ყაჩაღობას. ეგ მარტივია, ლოგიკურია, მაგრამ მეტრო და ათი ათასი ვერ ჩავსვი ლოგიკაში“, — გაუღიმა №0578-მა.

„ახალი წლები იყო. ძლივს ვიშოვე ეგ ფული. თუ გინდა ნუ დამიჯერებ, მაგრამ ჯიბეში 50 თეთრზე მეტი აღარ დამრჩა, სახლშიც არ იყო. ამიტომ წავედი მეტროთი. ვიფიქრე, რა უნდა მოხდეს-მეთქი... წართმევას თუ დამიპირებდა ვინმე, თავს შევაკლავდი, მოპარვით ვერ მომპარავდნენ, არ ვარ კოსმოსიდან ჩამოვარდნილი, მაგრამ... ფიქრებში წავედი და დამრჩა“, — ჩუმად თქვა შოთამ.

* * *

მას შემდეგ, რაც პატიმარი №0578 თავისუფლებაზე გავიდა, არაერთი მეგობარი ნახა, თითქმის ყველას ჩამოუარა, ვისი ნახვაც ვერ შეძლო, თავად მოაკითხეს. ყველაზე მეტად ირაკლის ხილვამ გააოცა. დაჭერამდე ირაკლის პურის ფული უჭირდა, ახლა კი მრგვალფარიანი „მერსედესი“ ჰყავდა და ბედნიერი ჩანდა.

„ჩემი დაჭერა თუ ასე მოგიხდა, მითხარი და კიდევ ჩავჯდები“, — გაუღიმა ირაკლის.

„არა, რა შენი დაჭერა?! ხომ გახსოვს, დედაჩემი გაზეთებს ყიდის მეტროში... უფრო სწორედ ყიდდა. ჰოდა, სამი წლის წინ, ზედ საახალწლოდ, ათი ათასი დოლარი იპოვა. მეტროში იპოვა, სკამზე იდო. სამი მანქანა ვიყიდე, ერთი აგერ მყავს, ორი გავაქირავე, ტაქსაობენ და დღეში თითო 30 ლარს მიხდის. მეც ვტაქსაობ ხოლმე ხანდახან, მაგრამ მე დიდ რეისებზე, ვლადიკავკაზი და რამე. დედაჩემიც სახლშია ახლა, შვილიშვილებს უვლის და ამოვისუნთქეთ რა. შენ როგორ ხარ? ხომ არ გაგიჭირდა იქ?!“ — ჰკითხა ირაკლიმ.

„იცი, რომ მაგ ფულის გამო შოთა დ. „კაზიოლებში“ ზის?!“ — წართმეული ხმით ჰკითხა №0578-მა მეგობარს და მერე დაწვრილებით მოუყვა ისტორიას.

„ჰო... მძიმე შემთხვევაა... ბუნებაში მართლა არაფერი იკარგება და... დაიკიდე რა. დედაჩემი თუ არა, სხვა ვინმე იპოვიდა და ის აიწყობდა ცხოვრებას. ან არ აიწყობდა და კაზინოში წააგებდა, ან კიდევ რა ვიცი... შენი ამბები მოყევი, თორემ ეგ ფული ღვთის საჩუქარი მეგონა აქამდე და ახლაც ასე მგონია“, — გაიღიმა ირაკლიმ და №0578-საც ამ საქმეზე აღარაფერი უთქვამს.

ვერსიანიუსი

შს მინისტრი აშშ-ს გამოძიების ფედერალური ბიუროს დირექტორს შეხვდა

საქართველოს შს მინისტრი გიორგი მღებრიშვილი, ამერიკის შეერთებულ შტატებში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, აშშ-ს გამოძიების ფედერალური ბიუროს დირექტორს ჯეიმს კომეის შეხვდა.

გიორგი მღებრიშვილმა ამერიკულ მხარეს მადლობა გადაუხადა სამართალდაცვით სფეროში წლების განმავლობაში გაწეული დახმარებისა და თანამშრომლობისთვის. მისივე თქმით, საქართველო უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს აშშ-სთან მჭიდრო თანამშრომლობას ორგანიზებული დანაშაულისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

თავის მხრივ, ამერიკულმა მხარემ გამოთქვა სრული მზაობა და მხარდაჭერა ურთიერთობის გაღრმავებისთვის. ჯეიმს კომეიმ ასევე გამოთქვა სურვილი საქართველოს შს სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური სამსახურის თანამშრომლებისა და გამომძიებლების გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაში დაეხმარონ. მხარეებმა ასევე ისაუბრეს დანაშაულთან ბრძოლისა და პრევენციის საკითხებში ინფორმაციის გაცვლის მნიშვნელობაზე.

შს მინისტრმა აღნიშნა, რომ აშშ-ს გამოძიების ფედერალური ბიუროს უდიდესი ცოდნა და გამოცდილება გააჩნია ორგანიზებული დანაშაულის ყველა ფორმასთან ბრძოლაში, ამიტომ, საქართველოსთვის მნიშვნელოვანია პარტნიორი ქვეყნის მიერ გაწეული მხარდაჭერა, ცოდნისა და საუკეთესო გამოცდილების გაზიარება, ასევე, რეკომენდაციების მიღება.

შს მინისტრი ჯეიმს კომეის სამინისტროში ბოლო პერიოდში განხორციელებული რეფორმების შესახებ დეტალურად ესაუბრა. გიორგი მღებრიშვილმა აღნიშნა, რომ შსს-მ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობის განვითარების კუთხით როგორც საკანონმდებლო, ასევე ინსტიტუციონალურ დონეზე. მხარეებმა თანამშრომლობის შედეგად მიღწეული პროგრესი განიხილეს და სამომავლო გეგმებზეც ისაუბრეს.

შეხვედრის დასასრულს, გიორგი მღებრიშვილმა ჯეიმს კომეი საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მიიწვია.

შსს-მ უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღო

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1990 წელს დაბადებული შავლეგ კ. და 1980 წელს დაბადებული პაპუნა ქ. ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის და ტარების ბრალდებით დააკავეს. გამოძიებამ დაადგინა, რომ პაპუნა ქ-მ ცეცხლსასროლი იარაღები შეიძინა და შავლეგ კ-ს საცხოვრებელ სახლში მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა. სამართალდამცველებმა, შავლეგ კ-ს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად, „კალაშნიკოვის“ კონსტრუქციის „ა-კა-74“-ის მოდელის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, „თშ 870“-ის მოდელის გლუვლულიანი სანადირო თოფი ჰორიზონტალურად მოძრავი ჩამკეტით და ცილინდრული ფორმის მჭიდით, ასევე, სხვადასხვა ტიპის ცეცხლსასროლი იარაღისთვის განკუთვნილი 38 საბრძოლო ვაზნა, 1 მჭიდი, ხელთათმანები და შავი ფერის ქუდი ამოიღეს. ნარკოლოგიური შემოწმების შედეგად ბრალდებულებს ნარკოტიკული საშუალება ტეტრაჰიდროკანაბინოლის მოხმარების ფაქტი დაუდგინდათ. დაკავებულები აღიარებენ ჩადენილ დანაშაულს. გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის და ტარების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 236-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით).

შსს-მ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკი ამოიღო



შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლოს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, უკრაინის რესპუბლიკის მოქალაქე, 1991 წელს დაბადებული ალექსანდრე გ. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და საქართველოში უკანონოდ შემოტანის ბრალდებით თბილისის საერთაშორისო აეროპორტში დააკავეს. სამართალდამცველებმა, დაკავებულის პირადი ჩხრეკისას, 9,8928 გრ კანაფის ფისი და 186 აბი ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით 22,3744 გრ ნარკოტიკულ საშუალება მდმა-ს (3,4-მეთილენდიოქსიმეტამფეტამინს) შეიცავს. ნარკოლოგიური შემოწმებით ალექსანდრე გ-ს ამფეტამინის, მეტამფეტამინის და მდმს-ს (3,4-მეთილენდიოქსიმეტამფეტამინის) მოხმარების ფაქტი დაუდგინდა. გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების საქართველოში უკანონოდ შემოტანის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ და 262-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით).

„ვერსიანიუსი“

„პირადად გამოვცადე ინდოეთში ადგილობრივი მედიკამენტები და ეფექტურად იმოქმედა“

ბათო ჯაფარიძე

ჯანდაცვის სამინისტრომ ფარმაცევტულ ბაზარზე შექმნილი პრობლემების დარეგულირების მიზნით, ჯენერიკების სეგმენტის გაფართოება და ბაზარზე მათი წილის გაზრდა დაასახელა. ექსპერტთა ერთი ნაწილი იწონებს ინიციატივას და აღნიშნავს, რომ პროექტის წარმატებით განხორციელებისთვის, აუცილებელია, საზოგადოების ინფორმირება ჯენერიკების თაობაზე. ზოგი კი, განმარტავს, რომ სანდოობის მიზნით, აუცილებელია, სამინისტრომ მედიკამენტებზე ხარისხის კონტროლის გამკაცრებაზეც იზრუნოს.

ნევროლოგი და ოჯახის ექიმი **ნატო შენგელია** ჯენერიკ მედიკამენტების სანდოობაზე საუბრობს და ამბობს, რომ ამ პრეპარატებს პრაქტიკაშიც ხშირად იყენებს: **„როდესაც დარწმუნებული ვარ, რომ ჯენერიკი კარგი ხარისხისაა, შემიძლია ვთქვა, რომ თითქმის გათანაბრებული მაქვს ბრენდულ პრეპარატთან. დღეს სრულიად დასაშვებია ჯენერიკების გამოყენება. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც პაციენტს უჭირს ბრედნული მედიკამენტის შეძენა. პირადად, ჩვეულებრივ ვწერ ჯენერიკებს დანიშნულებაში, თუმცა არსებობს ზოგიერთი ისეთი ჯენერიკი, რომლის ხარისხშიც დარწმუნებული არ ვარ და ასეთ დროს უპირატესობას ბრენდს ვანიჭებ. ჯენერიკების ხარისხში დარწმუნება კი ხდება პრაქტიკიდან გამომდინარე. როდესაც ესა თუ ის დასახელება უმრავლეს შემთხვევაში, დადებით შედეგს მაძლევს დაავადების მკურნალობისას, ეს მიდგომა ბუნებრივია“.**

მისივე თქმით, ჯენერიკების ხარისხს არ განსაზღვრავს მწარმოებელი ქვეყანა და მიაჩნია, რომ ინდური წარმოების მედიკამენტების მიმართ, სკეპტიკური განწყობაა და ამგვარი მიდგომა უნდა შეიცვალოს: **„ინდოეთში ძალიან ბევრ ფრანგულ და ბრიტანულ ფარმაცევტულ კომპანიებსაც აქვთ ქარხნები. არ აქვს მნიშვნელობა სად არის წარმოებული წამალი – ინდოეთში, ეგვიპტეში თუ ნებისმიერ სხვა ქვეყანაში, მთავარია, მწარმოებელი კომპანია იყოს კეთილსინდისიერი და სანდო“.**

რამდენად ეფექტურია ჯენერიკები და რომელი ქვეყნები აწარმოებს ხარისხიან მედიკამენტებს? ამ საკითხზე, „პირველი ნაბიჯი საქართველოს“ პედიატრ **ირმა გოცირიძეს** ამგვარი შეხედულება აქვს: **„როგორც პედიატრს, მიმაჩნია, რომ პაციენტის მშობელს სასურველია, ექიმმა აუხსნას, რომ კონკრეტული სიმპტომების სამკურნალოდ არსებობს როგორც ბრენდული, ისე ჯენერიკმედიკამენტი, განუმარტოს წამლების დადებითი მხარეები, ასევე აცნობოს მათ ღირებულებებს შორის სხვაობა და ამის შემდეგ ერთად შეჯერდნენ, რომელ წამალს დანიშნავს საბოლოოდ ექიმი“.**

პედიატრს ასევე მიაჩნია, რომ პაციენტსაც უნდა მიეცეს გადაწყვეტილების მიღების საშუალება მხოლოდ მას შემდეგ, რაც მკურნალი თუ ოჯახის ექიმისგან სათანადო ინფორმაციას მიიღებს: **„პირადად ჯენერიკების საწინააღმდეგო ზოგადად არაფერი მაქვს, არც მწარმოებელ ქვეყნებს ვანიჭებ განსაკუთრებულ უპირატესობას. არსებობს მაღალი ეფექტის მქონე ინდური მედიკამენტები. პირადად გამოვცადე ინდოეთში ყოფნისას ადგილობრივი მედიკამენტები, საკმაოდ ეფექტურად იმოქმედა. მაგალითად, ინდური წარმოების ომეპრაზოლის რიგის პრეპარატები იმდენად ხარისხიანი აღმოჩნდა, რომ ჩემს მეგობრებს ვაბარებ, როდესაც ინდოეთში უხდებათ სტუმრობა“.**

„თუ ჯენერიკი კარგი ხარისხისაა, ის ბრენდისგან არ განსხვავდება“, — მიაჩნია პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის წევრ **მირიან წიკლაურს,** რომელიც განმარტავს, რომ ჯენერიკი სამკურნალო პრეპარატია, იგივე ფორმულით, შემადგენლობითა და ჩვენებებით: **„მხოლოდ არა იმ ფირმის მიერ გამოშვებული, რომელმაც მედიკამენტი თავდაპირველად დაარეგისტრირა და დააპატენტა. მაგალითისთვის, პრეპარატი ასპირინი, თავის დროზე, კომპანია „ბაიერმა“ დააპატენტა და ფარმაცევტულ ბაზარზეც პირველად მან შემოიტანა. თუმცა, დღეს მას უშვებს კომპანია „უპსა“, რომელიც არანაკლები ხარისხისაა. მსგავსი მაგალითების მოყვანა შეიძლება სხვა, მრავალი დასახელების მედიკამენტზეც. ანუ ჯენერიკი არ ნიშნავს, რომ ის აუცილებლად არის ცუდი. თუ ჯენერიკი კარგი ხარისხისაა, ის ჩვენებითა და მკურნალობის ეფექტის გათვალისწინებით, არ განსხვავდება ბრენდისაგან. ზოგ შემთხვევაში, ჯენერიკი ბრენდსაც სჯობია“.**

ჯენერიკების დიდ ნაწილს ინდოეთსა და სხვა ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში აწარმოებენ. მასში, პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის წევრი საგანგაშოს ვერაფერს ხედავს: **„ინდოეთშიც ბევრი წარმატებული და სანდო ფარმაცევტული კომპანიაა, თუმცა არიან ნაკლებად სანდო და წარმატებული კომპანიებიც, როგორც სხვა განვითარებულ თუ განვითარებად ქვეყანაში. სწორედ ასეთი განწყობა იყო საქართველოში თავის დროზე თურქულ მედიკამენტებზეც. მათ არ ენდობოდნენ, თუმცა ვიმყოფებოდი რამდენიმე ფირმის ქარხანაში, რომელიც მაღალტექნოლოგიურ დონეზე იყო აღჭურვილი. უსამართლობად მიმაჩნია, როდესაც ჯენერიკმედიკამენტებს უხარისხო წამლებთან აიგივებენ.“**

სოფელ ნაფეტვრების მოსწავლეებისთვის განათლების სამინისტრომ ტრანსპორტი სპეციალურად გამოყო

ნინო ლურსმანაშვილი
593-51-52-04

სოფელ ნაფეტვრების მოსწავლეებისთვის ცოტა ხნის წინ, სკოლაში სიარული უდიდესი პრობლემა იყო. თბილისის სკოლებში ისინი საკუთარი ხარჯით დადიოდნენ. რამდენიმეკილომეტრიანი გზის დაფარვა, ბავშვებისთვის, მათი მშობლებისთვის უზარმაზარ სირთულეს წარმოადგენდა როგორც ფიზიკურად და მორალურად, ასევე ფინანსურად. დღეს პრობლემა გადაჭრილია — განათლების სამინისტროს მიერ მიღებული ახალი რეგულაციით, სპეციალურად ნაფეტვრების მოსწავლეებისთვის, ტრანსპორტი გამოიყო.

იმისთვის, რომ განათლება თითოეული მოსწავლისთვის იყოს ხელმისაწვდომი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ „საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამაში“ ცვლილებები შეიტანა. კერძოდ, ცვლილება შევიდა მუდმივმოქმედი სპეციალური კომისიის უფლება-მოვალეობებში, რომლითაც კომისია უფლებამოსილია, ობიექტური და დასაბუთებული გარემოებების არსებობის შემთხვევაში, საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამაში ჩართვისთვის სავალდებულო და დამატებით კრიტერიუმებში შეიტანოს ცვლილება. ახალი რეგულაციით, სასკოლო ტრანსპორტი მოემსახურება თბილისის შემოგარენში მცხოვრებ იმ მოსწავლეებსაც, რომლებისთვისაც ზოგადი განათლების მიღების ერთადერთი შესაძლებლობა, თბილისია.

სოფელი ნაფეტვრები მცხეთის მუნიციპალიტეტს ექვემდებარება. მას შემდეგ, რაც ვერ მოხერხდა „ნაფეტვრები-თბილისი“ მუნიციპალური ტრანსპორტის დანიშვნა, მოსწავლეთა უფლებები და ზოგად განათლებაზე ხელმისაწვდომობა რომ არ შეზღუდულიყო, სამინისტრომ „საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში“ კორექტირება მოახდინა. გადაწყდა, ახლომდებარე საჯარო სკოლასთან (ერთი კილომეტრის რადიუსში მდებარე ნებისმიერი საჯარო სკოლა) ნაფეტვრებსა და ზოგადად, თბილისის შემოგარენში მცხოვრები იმ მოსწავლეების ტრანსპორტირება, რომლებისთვისაც ზოგადი განათლების მიღების ერთადერთი შესაძლებლობა თბილისია.

ნაფეტვრებში მცხოვრებ მოსწავლეებს გზის პრობლემა მთლიანად მოეხსნათ. სპეციალურად გამოყოფილ ტრანსპორტს ბავშვები სკოლაში დილა-საღამოს დაჰყავს. ამ ფონზე, გასაკვირი არ არის მათი და მათი მშობლების აღფრთოვანება. მაგალითად, ნაფეტვრელი მკვიდრები, მოსწავლეების მშობლები **ლევან სიხარულიძე** და **ვიქტორია დოროშენკი** განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებას „ვერსიასთან“ ამგვარად აფასებენ: **„სამი შვილი გვყავს, რომლებიც თბილისის 122-ე საჯარო სკოლის I, V, VI კლასებში სწავლობენ. ყოველდღიურად, სკოლაში მათი დროულად მიყვანა ძალიან გვიჭირდა. თხოვნით მივმართეთ სკოლის დირექციას, ეშუამდგომლა განათლების სამინისტროსთან და შეძლებისდაგვარად, გამოეყოთ სატრანსპორტო საშუალება. სასიხარულოა, რომ პრობლემა მცირე დროში მოგვარდა. განათლების სამინისტროს ძალიან მადლიერები ვართ, რადგან არ დაგვტოვეს უყურადღებოდ და პრობლემა ძალიან სწრაფად მოაგვარეს. შედეგად, ბავშვები აქტიურად არიან ჩართულნი სასკოლო ცხოვრებაში“.**

ტრანსპორტის დანიშვნას დადებით მოვლენად აფასებს 122-ე საჯარო სკოლის დირექტორი **მედეა ქოქრაშვილიც: „ტრანსპორტის თაობაზე მოსწავლეთა მშობლებმა თხოვნით მომმართეს. მთხოვეს, მომხდარიყო მოსწავლეების ტრანსპორტირება ნაფეტვრებიდან 122-ე საჯარო სკოლამდე და უკან. შესაბამისი თხოვნით ოფიციალურად მივმართეთ ვაკე-საბურთალოს რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრს. რესურსცენტრმა ინფორმაცია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიაწოდა, რომელიც ჩვენი მოსწავლეების მდგომარეობაში შევიდა. პირადად ჩემი სახელით, დიდი მადლობა მინდა გადავუხადო მინისტრს, რადგან გულისხმიერებით მოეკიდა აღნიშნულ პრობლემას, გამოყო სატრანსპორტო საშუალება, რითაც ხელი შეუწყო მოსწავლეთა დროულ და უსაფრთხო გადაადგილებას“.**

მოსწავლეების სასკოლო ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უკვე სამი წელია ახორციელებს. დღეის მდგომარეობით, სასკოლო ავტობუსით 1150-მდე საჯარო სკოლის 64 000-ზე მეტი მოსწავლეა უზრუნველყოფილი. შედეგად, გაკვეთილებზე დასწრების მაჩვენებელი 95%-ს აჭარბებს.

ცეცხლმოკიდებული ფასები პროდუქტებზე და გაწიწმატებული მყიდველ-გამყიდველი

„ჩოხებში გამოწყობილები მიუსხდნენ სუფრას, ცალ ხელში ბუსუსებიანი პრეზერვატივი დაიჭირონ და ცალ ხელში მწვანილი, 1,18 ლარად მარტო ამას იყიდიან... ჩვენ კიდე თავი გაგვანებონ. დავიღალეთ!“

თამარ ლომსაძე
599-20-94-01

მართალია, პროდუქტი გაძვირდა, მაგრამ ნავთლულის ბაზარში მაინც ხალხმრავლობაა, თუმცა ვერ გაიგებ, ვინ მყიდველია და ვინ გამყიდველი... „რა ვქნათ, წინასაახალწლოდ ვცდილობთ, ნელ-ნელა ვიყიდოთ პროდუქტი, — მეუბნება შუახნის ქალბატონი და კაკლის გამყიდველს ფასს ეკითხება: „ნიგოზი 35 ლარი ღირს, შეხედე, როგორი ფითქინა ლებანია“, — პასუხობს გამყიდველი და მაშინვე კლიენტის ქოქოლას იმსახურებს: „ვაიმე, გავგიჟდი ქალი... ცეცხლი უკიდია ყველაფერს! და რატომ გააძვირეთ ასე ნიგოზი — დოლარებით გაანოყივრეთ ნიადაგი?!“

„რას ყვირი, ქალო... ყველაფერი გაძვირდა, დღეს გაიგე?“, — გამოესარჩლა კოლეგას გვერდითა დახლიდან თხილის გამყიდველი... კლიენტს აშკარად არ უნდოდა პოლემიკაში შესვლა, თავისთვის რაღაც ჩაიბუტბუტა და გზა განაგრძო... მაგრამ გამყიდველ ქალებს ქოთქოთი არ შეუწყვეტიათ: **„გამაგიჟებს ეს ხალხი, რატომ უკვირთ პროდუქტის გაძვირება? თუ არ აქვთ საშუალება, ნუ იყიდიან კაკალს და თხილს... აუცილებელი ხომ არაა, საახალწლო სუფრაზე ყველას გოზინაყი ედოს, უფ!“**

„ასე რატომ მსჯელობთ, ქალბატონო?“ — ვცადე შეპასუხება, მაგრამ ვინ გაცადა სიტყვის დასრულება — 15-მდე ქალი ერთად ალაპარაკდა...

იქვე, ასაკოვანი მამაკაცი ლობიოს ყიდდა, კამათში არ ჩარეულა, მაგრამ რომ ჩავუარე, თავისთვის ჩაილაპარაკა, — **„ხალხი გაგიჟდა, შვილო... ერთმანეთის გატანა ქართველებმა ისედაც არ ვიცოდით და ახლა ერთმანეთის ატანაც აღარ შეგვიძლია. იმდენი ბოღმაა დაგროვილი, რა მოუხერხონ, არ იციან... მთელ დღეს ასე, ყაყანში ატარებენ“.**

„თქვენთან უკმაყოფილო კლიენტები არ მოდიან?“, — ვკითხე, — **„კმაყოფილი ადამიანი მაჩვენე ამ დალოცვილ ქვეყანაში... სულ რომ ოქროს ბილიკები დაუგოს ვინმემ, ჩათვლიან, რომ დიდი ხანია ამას იმსახურებენ. არასოდეს არაფერი გვეშველება! ვინც უნდა მოვიდეს მთავრობაში, რაც უნდა გააკეთოს, მაინც მყეფარა ძაღლებად დავრჩებით. უმადურობის სენი შეგვეყარა, ბაბუ“,** — დაასრულა მონოლოგი მოხუცმა. მე კი ნახევრდაცარიელ დახლებს გადავხედე, ხალხის მოჟამულ სახეებს და მწვანილის გამყიდველს მივუხალოვდი. ქალი ოხრახუშის კონას მონდომებით ურტყამდა ვიღაც კაცს: **„უნდა მოგეპარა, არა?! სულ შენნაირებისთვის დავმჯდარვარ ამ სიცივეში! პაშოლ ვონ, მერამდენედ უნდა მომპარო“...**

„კარგი, ქალო, დამანებე თავი, აჰა, ოცი თეთრი და მომეცი ეგ კონა“, — თათრის ქალის დაშოშმინებას ცდილობდა „დაზარალებული“.

„რათ მინდა შენი დვადცატ კაპეეკ, 30 ღირს, გაძვირდა, არ დაგიკლებ“, — ბოლო ხმაზე კიოდა ქალი და მივხვდი — მასთან დალაპარაკებას აზრი არ ჰქონდა.

„მოდი, გოგო, კარგი მწნილი იყიდე... ახლა ბარბარობა მოდის, ლობიო მწნილის გარეშე გაგონილა?“ — მიმიხმო მწნილის გამყიდველმა და ლექსივით ჩამომირაკრაკა ფასები — **„კიტრის მწნილი — 5, ჯონჯოლი — 6, წიწაკა — 5, კომბოსტო 2,50... იაფია და გემრიელი, გასინჯე, გასინჯე ნუ გერიდება... ასეთი მწნილი ბაზარში არავის აქვს“,** — წუთში ისეთი სარეკლამო რგოლი დაატრიალა გამყიდველმა, ლამის მოვუბოდიშე იმის გამო, რომ ყიდვას არ ვაპირებდი: **„გაძვირებულა“,** — ჩავილაპარაკე და ის იყო დახლიდან გამოსვლა დავაპირე, უკმაყოფილო შეძახილმა შემაჩერა, — **„მოიცა, რას ჰქვია, გაძვირებულა... ყველაფერი გაძვირდა და მე გიჟი ვარ, იგივე ფასად გავყიდო? არა, ამას უყურეთ, ერთი, მწნილი გავასინჯე, არაფერი იყიდა და აქეთ ვალი დამადო — გაგიძვირებიაო... ესაა, ხალხო, საქმე?“** — მთელ ბაზარში ისმოდა გამყიდველის წიოკი.

„მოდი, სოკო მაინც იყიდე... იაფად მოგცემ — 4,50-ად ქამას... რას ვიზამთ, ხალხს ნერვები აღარ შერჩა. მთელი დღე ვდგავართ და ბაზარში მყიდველზე მეტი გამყიდველია... ფული არ აქვთ და ჩვენც საშინელ დღეში ვართ“, — წუწუნს უმატა ახალგაზრდა გამყიდველმა.

ყველაზე ნაკლებად ხალხი ხორცეულთან ტრიალებდა... **„ხორცი კი არა, მწვანილი აღარ იყიდება, შვილო... თან მარხვაა, თან ძვირია... კარგი ხორცი 13-14 ლარი ღირს“,** — ახსნა-განმარტებები არ დაიშურა ჩასუქებულმა ყასაბმა და საქონლის ბარკალს ისე დაკრა ცული, ლამის მაგიდაც შუაზე გააპო.

„ამ მთავრობას მიეცეს ჩვენი ცოდვა და კიდევ იმას, აი, ის, ვითომ დიასახლისი რომაა... მოიცა, გავიხსენო, რა ჰქვია... ჰო, რიმა, რიმა... 1,18 თეთრით სადილი თავის შვილებს მოუმზადოს... ეს რა დღეში ჩაგვყარეს და დაგვცინიან კიდეც... არა, რანაირად დათვალა ერთი ადამიანის სამყოფი თანხა?! უნდა დასვა, მიუგდო 1,18 და უთხრა, საახალწლო სუფრა გაშალოს... ამ გაბოროტებულ და მშიერ ხალხს კიდევ ეგ უნდოდა?“ — ქოთქოთებდა ქათმის გამყიდველი და შიგადაშიგ კლიენტებს უხმობდა, — **„აბა, კარგი ქათმები რვა ლარად!“**

გვერდით დახლზე კი ყველანაირი სანიტარული ნორმების დაცვის გარეშე, ღია ყუთში ქათმის გაყინული ბარკლები ეყარა და ერთადერთი კითხვა გამიჩნდა — შემოწმებული იყო თუ არა... უცებ გამყიდველი წამოენთო, — **„რას ჰქვია, არ არის შემოწმებული? აბა, აქ ვინ დამაყენებდა... კარგია და არც ვინმეს მოწამლავს... არ ხარ შენ მყიდველი და ტყუილად მაკარგვინებ დროს“,** — მომაძახა და მეც გამოვერიდე...

ხილიც არ იყო იაფი — ვაშლი 1,50-3 ლარი ღირდა, მანდარინი 1-2,50... იქვე რამდენიმე მოვაჭრე რაღაცაზე ცხარედ კამათობდა... — განხილვის თემა მარჯვენასაჭიანი მანქანები იყო... მსჯელობას არც პოლიტიკური შეფასებები აკლდა და არც სარკაზმი... მთავრობის მუშაობით უკმაყოფილო მოვაჭრეები ხელისუფლებას ხალხთან გამოსვლას და ბოდიშის მოხდას სთხოვდნენ იმის გამო, რომ არც ერთი წინასაარჩევნო დაპირება არ შეუსრულებიათ: **„ჩვენთვის არავინ არის... სანამ მოვლენ მთავრობაში, ყველას ვჭირდებით, მერე, როცა მოითბობენ ერთ ადგილს, აღარავის ვახსენდებით... აბა, სად არის მეოთხე უკეთესი წელი, სად?! რაც მოვიდნენ, მარტო იმაზე ფიქრობენ, ჩოხა ჩაგვაცვან, ბუსუსებიანი რეზინები აკრძალონ თუ მარჯვენასაჭიანი მანქანების მძღოლებს შეუქმნან პრობლემები... ჰოდა, ამ წინასაახალწლოდ, მთელი გულით ვუსურვებთ, ჩოხებში გამოწყობილები მიუსხდნენ სუფრას, ცალ ხელში ბუსუსებიანი პრეზერვატივი დაიჭირონ და ცალ ხელში მწვანილი, 1,18 ლარად მარტო ამას იყიდიან... ჩვენ კიდე თავი გაგვანებონ. დავიღალეთ!“**

გორაბერეჟოულის მოსახლეობა, სოფელში გაზის შეყვანის მოთხოვნით, საპროტესტო აქციებს იწყებს

ჩოხატაურის გამგებელი ადგილობრივების ბრალდებებს პასუხობს

გიორგი სირაძე
„ვერსიისთვის“ გურიიდან

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ გორაბერეჟოულის მოსახლეობამ ბუნებრივი აირის მოთხოვნით აქცია გამართა და ოზურგეთი-ჩოხატაურის საავტომობილო გზა გადაკეტა. როგორც ადგილობრივები აცხადებენ, რამდენიმე წელია სოფლის გაზიფიცირებას უშედეგოდ ითხოვენ.

„გაზი მხოლოდ ნახევარ სოფელშია. საპროტექტო აქცია რამდენიმე თვის წინაც მოვაწყვეთ. მივიწვიეთ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და გაზის შემოყვანა მოვითხოვეთ. მოგვიყვანეს სოკარის წარმომადგენელი ანტონ სამსონაძე, რომელმაც განაცხადა, რომ გორაბერეჟოულში გაზი ბოლომდე იქნება გაყვანილი. რაც გაკეთებულია, წინა ხელისუფლების დროინდელია. სამსონაძემ გვითხრა, ტყუილი დაპირება არასდროს არავისთვის მიმიციაო. ახლა ერკეტში აკეთებენ გაზს და ჩვენი სოფელი ისევ დაივიწყეს. ჩვენი მოთხოვნაა, სოფელში დაიწყოს გაზის შეყვანა. გაჭირვებაა სოფელში და რა ვქნათ, გაზი თუ არ გვექნა, რით გავთბეთ? ხე რომ მოვჭრათ შეშად, ჯარიმა უნდა გადავიხადოთ. სამსახური ჩვენ არ გვაქვს და ხელფასი, შეშას ვერ ვყიდულობთ. 13 წელია გვპირდებიან გაზის შემოყვანას და არ დაგვაყენეს საშველი. მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენელი აცხადებს, ისეთ სიტყვას ვერ წამომაცდენინებთ, მერე პასუხი მომთხოვოთო. თუმცა, რაზე ვილაპარაკოთ, სკოლაში საპირფარეშო არაა და დღემდე ის ვერ გაუკეთებიათ“, — განაცხადა „ვერსიასთან“ საუბრისას გორაბერეჟოულის მკვიდრმა **იზოლდა რამიშვილმა.**

ადგილობრივების განმარტებით, თუ სოფლის გაზიფიცირება არ მოხდება, გამანაწილებელი სადგურიდან გაზის გათიშვას შეეცდებიან. მოსახლეობა პასუხისმგებლობას ხელისუფლებას აკისრებს და აცხადებს, რომ გაზი მხოლოდ გამგეობის თანამშრომლებს მიუყვანეს.

„ჩვენ სოფელში ყველაფერი პრობლემა ხდება. 67 წლის კაცი ვარ და არ მახსოვს, აქ რამე საქმე მოგვარებულიყოს. სოფელი ორადაა გაყოფილი. ზედა მხარეს, ყველაფერია, ქვედა სოფელში კი — არაფერი. რამდენიმე წელია ვითხოვთ გაზს და ყურადღებას არავინ გვაქცევს. 150 ლარით ვიარსებოთ? ხელისუფლება გვპირდება, დღეს-ხვალ პრობლემებს მოგიგვარებთო და ამასობაში, რამდენიმე წელი გავიდა. 21-ე საუკუნეში გაზს ვითხოვთ და არ გვაღირსეს. აწი კი დავიხოცებით. შარშან დაგვპირდნენ, წელსაც იგივეს აკეთებენ... ეს რა მთავრობაა? მედღეხვალიე ხალხია ხელისუფლებაში. რასაც გვპირდებიან, არაფერს ასრულებენ“, — **განაცხადა** აქციის მონაწილე არჩილ ჯანბერიძემ.

ადგილობრივი **მერი სირაძის** თქმით კი: **„ჩვენი მოთხოვნაა გაზი. პენსია წამალში არ გვყოფნის. მცირეწლოვანი ბავშვები გვეყინება, შეშის ფული არ გვაქვს და ამ გაზით ეკონომიას გავაკეთებდით. რამდენჯერ მოვიდა ეს ხელისუფლება ჩვენთან იმისათვის, ხმა მიგვეცა. ახლა კი, აღარავის ვახსოვართ. არ გავჩერდებით! აქციებს გავაგრძელებთ! რას გვიზამენ, ყველას დაგვიჭერენ? ადამიანების აბუჩად აგდება არ შეიძლება“.**

ზურაბ კაკურია კი, იმ მეთოდებს გვიმხელს, რასაც აქციის მონაწილეები, მათი მოთხოვნის არდაკმაყოფილების შემთხვევაში მიმართავენ: **„საკუთარ ფართობში, ერთი ძირი ხე რომ მოვჭრა შეშისთვის, 500-ლარიან ჯარიმას გვიწერენ. გაზი იმათ აქვთ, ვინც გამგეობაში მუშაობს. ვინც არ ვმუშაობთ, არ გვაქვს. რადგან გამგეობაში არ ვმუშაობთ, ყრუები და ბნელები ვართ? შორიდან ვუყურებთ, სხვები როგორ თბებიან, ჩვენი ოჯახის წევრები კი იყინებიან. თუ ბუნებრივ აირს არ შემოგვიყვანენ, გადავკეტავთ ცენტალურ მაგისტრალს და გაზს მთელ რაიონს შევუწყვეტთ“.**

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის, **ირაკლი კუჭავას** განცხადებით, მუნიციპალიტეტში წელს გაზიფიცირების სამუშაოები დასრულებულია და გორაბერეჟოულის გაზიფიცირება მომდევნო წელს მოხდება: **„შეხვდი აქციის მონაწილეებს. მათი მოთხოვნა, სოფელ გორაბერეჟოულის ერთ უბანში გაზის შეყვანაა. პროექტირების სამუშაოები წელს უკვე დასრულებულია. საქმის კურსშია ენერგეტიკის სამინისტრო და ინვესტორი კომპანია სოკარი. ამ სოფლის გაზიფიცირების დასრულება მომავალი წლიდან იგეგმება. ეს ინფორმაცია ადგილობრივებმა იციან და სხვა რა მოთხოვნები აქვთ, ვერ გეტყვით“.**

„დარწმუნებული ვარ, პრემიერი ამ იდეით დაინტერესდება“

„ეკო-პროგრესის“ ხელმძღვანელი, გარემოს გაუმჯობესების მიზნით, უნიკალური მცენარის — ტოპინამბის გაშენების ინიციატივით გამოდის

ნინო ლურსმანაშვილი
593-51-52-04

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, ჰაერის დაბინძურება ყოველ წელიწადს 2 მილიონი ადამიანის სიკვდილის მიზეზი ხდება. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით კი, საქართველოში ჰაერის დაბინძურება დაავადებების დაახლოებით 17%, ხოლო სიკვდილის 19%-ს იწვევს. გამონაბოლქვით გამოწვეული დაავადებების ნუსხა საკმაოდ ვრცელია: ფილტვის კიბო, ასთმა, გულსისხლძარღვთა და რესპირატორული დაავადებები, სხვადასხვა სახის ალერგია... გამონაბოლქვი მავნე ნაერთების „განეიტრალების“ ერთ-ერთი საშუალება, მწვანე საფარია, რომლითაც, სამწუხაროდ, საქართველოს დედაქალაქი და დიდი ქალაქები ვერ დაიკვეხნის. მეტიც, ამ მხრივ, საგანგაშო ვითარებაა. ამ ფონზე, მნიშვნელოვანია, შპს „ეკო-პროგრესის“ ხელმძღვანელის, ჯემალ ბადაგაძის ინიციატივა, რომელიც, 11 დეკემბერს, მეცნიერებათა აკადემიაში კიდევ ერთხელაა წარდგენილი. ბადაგაძის ინიციატივა, თბილისში, რუსთავსა და საქართველოს სხვა ადგილებში, უნიკალური მცენარის, ტოპინამბის გაშენებას გულისხმობს. იდეის და ამ მცენარის უპირატესობის შესახებ, „ვერსიას“ თავად ჯემალ ბადაგაძე უამბობს.

— თანამედროვე მსოფლიოს მოსახლეობის, ურბანიზაციის, მრეწველობისა და ტრანსპორტის შეუქცევადმა ზრდამ კაცობრიობას კანონზომიერად შეუქმნა მრავალი გლობალური პრობლემა, რომელთაგან უმნიშვნელოვანესია გარემოს მთავარი კომპონენტების — ჰაერის, მიწისა და წყლის მაღალი ხარისხის ეკოლოგიური უსაფრთხოება. მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მეცნიერული კვლევები ადასტურებს, რომ გლობალურ პრობლემათა გადაწყვეტა შესაძლებელია ერთი მხრივ, ბუნებრივი რესურსების სწორად შეფასებისა და გეგმაზომიერი მართვის, მეორე მხრივ ადამიანის სამეურნეო საქმიანობაში ეკონომიკურად და ეკოლოგიურად გამართლებული ტექნოლოგიების გონივრულად გამოყენების შედეგად. მნიშვნელოვანია ისეთი გრძელვადიანი პროგრამების შემუშავება-განხორციელება, რომლებიც ეკოლოგიურ სტაბილურობას უზრუნველყოფს და ეკონომიკურ სარგებელსაც მოუტანს საზოგადოებას.

— როგორც ვიცი, ამგვარი არაერთი პროექტი თუ ინიციატივა გაქვთ, თუმცა, სანამ უშუალოდ მათზე ვისაუბრებთ, იქნებ კიდევ ერთხელ გვითხრათ, როგორია დღეს გარემო, რომელშიც ვცხოვრობთ და რა მდგომარეობაა ეკოლოგიური თვალსაზრისით საქართველოს დიდ ქალაქებში.

— რბილად რომ ვთქვათ, არასახარბიელო, განსაკუთრებით, თბილისსა და დიდ ქალაქებში. უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში, ატმოსფერულ ჰაერში გარეშე ნაერთები ოცჯერ გაიზარდა. საქართველოში ატმოსფერულ ჰაერში გამოფრქვეული მავნე ნივთიერებები ყოველწლიურად საშუალოდ 370 ათას ტონას შეადგენს. ატმოსფეროში მავნე ნივთიერებები განსაკუთრებით დიდი რაოდენობით გამოიფრქვევა თბილისსა და რუსთავში. ჰაერში გამონაბოლქვი მავნე ნაერთები დიდ მანძილზე გადაადგილდება და საფრთხეს უქმნის ადამიანთა ჯანმრთელობასა და გარემოს.

— კონკრეტულად, რა ნაერთებია ყველაზე ტოქსიკური და რა დაავადებებს იწვევს?

— ამოფრქვეული მავნე ნივთიერებების მთელი რაოდენობის 88%-ზე მეტი ავტოტრანსპორტის გამონაბოლქვზე მოდის. ავტოტრანსპორტის გამონაბოლქვი აირები 200-ზე მეტ სხვადასხვა მაღალტოქსიკურ ქიმიურ ნივთიერებას შეიცავს, რომელიც ადამიანის ჯანმრთელობის მრავალ მწვავე დაავადებათა წარმოქმნის რეალური საშიშროებაა. ავტომანქანის გამონაბოლქვის ერთ-ერთი უარყოფითი შედეგია კადიუმის, დარიშხანის, ტყვიის და სხვა გამოყოფა. განსაკუთრებით საშიშია ბენზაპირენი (C20 H12), რომელიც ძირითადად, დიზელის საწვავზე მომუშავე ძრავებში წარმოიქმნება და CO-ზე სამ მილიონჯერ მავნეა. გოგირდის ორჟანგი და ნახშირორჟანგი, რომლებიც საწვავის არასრული წვის შედეგად წარმოიქმნება იწვევს ზედა სასუნთქი გზების გაღიზიანებას, თრგუნავს სისხლით ჟანგბადის გადატანას. აზოტის ორჟანგი და ერთჟანგი სერიოზულად აზიანებს ფილტვების ქსოვილს. ტყვია და ტყვიის შემცველი ნივთიერებები აზიანებს ნერვულ სისტემას, მოქმედებს გონებრივ და ფიზიკურ განვითარებაზე. მიწისპირა ოზონი კი ზემოქმედებს არა მარტო ადამიანების ჯანმრთელობაზე არამედ მცენარეებზეც. არადა, მცენარეული საფარი, მავნე ნივთიერებების დეტოქსიკაციისთვის მნიშვნელოვანია. ერთი ჰექტარი ტყე, წლის განმავლობაში, 50-70 ტონა მტვერს ფილტრავს. სამწუხაროდ, მწვანე ზონით დაფარული თბილისის მთლიანი ტერიტორია (ქალაქის საზღვრების გაფართოების მიუხედავად), ძალიან მცირეა განაშენებულ ტერიტორიასა და ქალაქის მოსახლეობასთან შეფარდებით. სპეციალისტების დასკვნით, ბოლო წლებში გარემოზე ზემოქმედების ფაქტორების უეფექტო კონტროლის გამო ეს მაჩვენებელი უფრო დაბალი იქნება. ამ ფონზე, ვფიქრობ, მნიშვნელოვანია ინიციატივა, რომელიც ჩვენ გვაქვს — თბილისის შემოგარენში, ლისის ტბისა და თბილისის ზღვის მიმდებარე სავარგულებში, თბილისი-რუსთავის ავტომაგისტრალის მიმართულებით და სხვა შესაფერის ტერიტორიებზე, ტოპინამბურისა და სხვა დიდი ბიომასის მომცემი კულტურების გაშენება. ტყის მასივების გაშენების მიზნით, ტოპინამბურის პლანტაციების გაშენება უნდა მოხდეს ზოლებად, ზოლებს შორის კი, დაინერგოს მრავალწლიან მცენარეთა ნერგები.

— ტოპინამბურს, სხვა მცენარეებთან შედარებით, რა უპირატესობა აქვს?

— ტოპინამბური მრავალწლიანი, მარილგამძლე მცენარეა, ერთ ჰექტარზე იძლევა 150 ტონა მწვანე მასას და 50 ტონა ტუბერს. მეცნიერები თვლიან, რომ 25 ჰა ტოპინამბურის ეფექტიანობა 125 ჰექტარი სხვა კულტურის ექვივალენტურია. წლის განმავლობაში 150-180 ტონაზე მეტ მტვერს ფილტრავს. ფოტოსინთეზის მწარმოებლობა და ფართის გამოყენების კოეფიციენტი 10-ჯერ მეტია ვიდრე სხვა ნებისმიერ მცენარისა. ტოპინამბური 10 წლის განმავლობაში ინარჩუნებს სრულ ვეგეტაციას, უძლებს გვალვას და ყინვას, ხარობს ყველანაირ ნიადაგზე. ტოპინამბურისგან მზადდება ასევე სპირტი, შაქარი, სახამებელი, სხვადასხვა სახის კოსმეტიკური საშუალება, მოსახლეობისათვის სამკურნალო დანიშნულებისა და კვების პროდუქტები. მწვანე მასის ფერმენტაციით მიიღება ბიოგაზი. მწვანე მასა კი, გაშრობა-დაწნეხვის შემდეგ, შესაძლებელია გამოვიყენოთ საწვავადაც და მისგან დამზადდეს ე.წ. ბიობლოკი, რომელიც სამეურნეო დანიშნულების შენობებისა და სათბურების მშენებლობისათვის გამოიყენება და ამ კუთხით, დასაქმების პრობლემაც შეიძლება გადაჭრას.

— ტოპინამბურის გაშენების ინიციატივა კონკრეტულად რომელი ქვეყნის მაგალითზე გაჩნდა?

— ტოპინამბურის სამშობლო ჩრდილო ამერიკაა. ადამიანები ამ კულტურას ჩვენს წელთაღრიცხვამდე ორი ათასი წლის წინაც იყენებდნენ. ევროპაში ტოპინამბური შეიტანეს ლესკარბოს ექსპედიციის ფრანგმა მეზღვაურებმა. კანადის სანაპიროების ათვისების დროს კი, სწორედ მისმა ტუბერმა გადაარჩინა ევროპიდან კანადაში გადასული ოქროს მაძიებლები. XVII საუკუნეში, რუსეთის პატრიარქმა ტოპინამბური ერის გადამრჩენ კულტურად აღიარა. დღეს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში (საფრანგეთი, გერმანია, ავსტრია, ინგლისი, ისლანდია, იტალია, ესპანეთი, ნორვეგია, ნიდერლანდები, აშშ, კანადა, ბრაზილია, სამხრეთ ამერიკა, უნგრეთი, იუგოსლავია, ავსტრალია) ტოპინამბურის წარმოება-გადამუშავება უმაღლეს დონეზეა.

— როგორ უნდა მოხდეს მისი შემოტანა და რა თანხა იქნება საჭირო?

— 2002 წელს მოსკოვში ჩამოყალიბდა ასოციაცია „ბიოკონვერსია“, რომლის დამაარსებელი და ხელმძღვანელია აკადემიკოსი ნიკოლოზ კოჩნევი. თავის დროზე მან შექმნა ტოპინამბურის მოყვანისა და გადამუშავების სამეცნიერო ცენტრი და პირველმა ააშენა ტოპინამბურის გადამამუშავებელი ქარხანა. კოჩნევმა ჯერ კიდევ 2003 წელს გამოთქვა სურვილი ჩვენთან თანამშრომლობაზე. გამოგვიგზავნა ასოციაციის წევრობის ხელშეკრულების ფორმა, რაც სამწუხაროდ დღემდე ვერ განვახორციელეთ. ასოციაციაში გაწევრიანობა გულისხმობს თანამშრომლობას აგროტექნიკის, გადამუშავების, მიღებული პროდუქციის რეალიზაციის და სხვა საკითხებზე ერთობლივ თანამშრომლობას. ერთი ჰექტარი ტოპინამბურის წარმოებისა და მიღებული პროდუქციის გადამუშავების საორიენტაციო ხარჯები შეადგენს დაახლოებით 3000 ლარს. მისი წარმოება-გადამუშავებით მიღებული შემოსავალი კი საგრძნობლად სჭარბობს გაწეულ ხარჯებს. სხვა თუ არაფერი, ერთი ჰექტარი ტოპინამბურის ბიომასის (საშუალო მოსავლიანობის შემთხვევაში) გადამუშავებით მიიღება 10-12 ტონა ეკოლოგიურად სუფთა საწვავი, რომელიც წარმატებით გამოიყენება ბენზინის დანამატად.

— თუ მიმართეთ შესაბამის ორგანოებს და რა პასუხი მიიღეთ მათგან?

— წინადადება სხვადასხვა დროს განიხილა და მოიწონა მეცნიერებათა აკადემიამ, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა წყლისა და ნიადაგის დარგობრივმა კომისიამ, ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტმა, რომელმაც აღნიშნა, რომ წინადადება მოიწონეს „იუნესკოს“ ეგიდით ჩატარებულ საერთაშორისო სიმპოზიუმზე. ასევე — „ჯორჯიან უოთერ & ფაუერმა“, გარემოს დაცვის სამინისტრომ, შპს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების სამეცნიერო-კვლევითმა ცენტრმა, საავტომობილო გზების დეპარტამენტის სამეცნიერო საბჭომ. ამ უკანასკნელის გადაწყვეტილებით, საგზაო დეპარტამენტმა წერილით მიმართა, ორ უცხოურ და ორ ქართულ კომპანიას, რომ ჩქაროსნული ავტომაგისტრალების პროექტირებისას გაეთვალისწინებინათ წინადადების გამოყენება და ხარჯები.

დადებითი დასკვნა დადეს აკადემიკოსებმა, თენგიზ (გიზო) ურუშაძემ, ნუგზარ ალექსიძემ და დევი უგრეხელიძემ. აღსანიშნავია, რომ ამ მცენარის გაშენება სასურველი იქნება ტრანზიტული მაგისტრალების სიახლოვეს... სიმართლე გითხრათ, ამ იდეის კიდევ ერთხელ გახმოვანებისკენ, კლიმატის ცვლილების სამიტზე პრემიერის დადებითმა გამოსვლამ მიბიძგა. ჩემი ინიციატივა, ზუსტად ესადაგება ამ საკითხს. ჩემი მიზანია, მთავრობის მეთაურს ხმა მივაწვდინო. დარწმუნებული ვარ, დაინტერესდება და შევძლებთ იმ იდეის განხორციელებას, რომელიც ჯანსაღ გარემოსთან ერთად, დიდ შემოსავალსაც მოგვიტანს.

გარემო და პოლიტიკა

ლევან სეფიასკვერაძე

საქართველოში პოლიტიკურად ძალიან მომგებიანი რამდენიმე თემა არსებობს, მათ შორისაა: რელიგიურობაზე აპელირება, ფსევდოპატრიოტიზმი და გარემოს დამცველად თავის წარმოჩინება. ამ უკანასკნელს თითქმის ყველა პოლიტიკური ფიგურა თუ პარტია იყენებს და როდესაც ისინი ოპოზიციურ ფლანგზე ყოფნის დარდით იწვიან, მუდამ იძახიან, რომ მათ ოპონენტებს, ანუ ხელისუფლებაში მყოფთ არ ანაღვლებთ ჩვენი საარსებო გარემო, ჭრიან ხეებს, წამლავენ ჰაერს, არ რეგულირდება ქარხნების მიერ გარემოზე მოყენებული ზიანი, არ იწმინდება ზღვა და მდინარეები, არ რეგულირდება წიაღისეულის მოპოვება და სხვა და სხვა..

მაგრამ, გადის დრო და შემდეგ ეს „გარემოს დიდი დამცველები“ ხელისუფლებაში მოდიან, კოხტად მოირგებენ ხოლმე „შეუვალ სიფათებს“ და თითქმის აღარასოდეს ახსოვთ არც გარემო და არც გაცემული დაპირებები, რაც ამ საკითხს ეხება. უფრო მეტიც – მარგინალად და პროგრესის შემაფერხებლად აცხადებენ მათ, ვინც გარემოს დასაცავად ღონისძიებებს ახორციელებს და იმას მაინც ცდილობენ, ხელისუფლებას მათ მიერვე გაცემულ დაპირებებზე პასუხი მოსთხოვონ.

გახსოვთ „ის ბრძენი კაცი“ წინასაარჩევნო პერიოდში როგორ ჭმუნავდა სააკაშვილის ხელისუფლების დროს „ბუნებაზე განხორციელებული ზეწოლის გამო“ და როგორ იძახდა, მე ამირჩიეთ და ნახავთ, როგორ საოცარ გარემოშიც გაცხოვრებთო (მარტო ხუდონზე ჭმუნვა რად ღირს!) ყველაფერი კი, რა თქმა უნდა, საპირისპიროდ მოხდა და გარემოზე ზრუნვას ვინ ჩივის, როგორც ირკვევა მისი შვილის მფლობელობაში მყოფი კომპანია რაჭაში ხეებს ჭრის და ეს საკითხი ჩვენს ხელისუფლებას საერთოდ არ ანაღვლებს. ანაღვლებს და მათი აჯობებს!

მერე იყო და დავით ნარმანიას საარჩევნო კამპანიის დროს გარემოს ფსევდოდამცველობამ კომიკური ხასიათი მიიღო და მერობის შემთხვევაში მისტერ დათო გამაოგნებელ რამეს – მილიონი ხის დარგვას გვპირდებოდა.

მე თუ მკითხავთ, ამ უცნაური კაცის მერად არჩევა მილიონ ხეზე მეტად, ხალხში ჯერ კიდევ შემორჩენილმა „იმ ბრძენი კაცის“ ტრფობამ განაპირობა, მაგრამ დაპირება ხომ დარჩა? როგორც ჩემი ბავშვობის დროინდელ თბილისში იტყოდნენ: სიტყვა პირიდან ხომ ამოვიდა, ძმაო?!

ფაფუ, ნარმანიას „გარემოსდამცველობა“. ფაფუ, მილიონ ხეზე ოცნება... მისტერ დათო სულ ახალი გამერებული იყო, როდესაც იპოდრომის ტერიტორიაზე კოხტად ააღმუვლეს ელექტროხერხი და დაიწყეს ხეების ჭრა და ტერიტორიის შემზადება ახალი კორპუსების ასაშენებლად (გვაკლია კორპუსები საბურთალოზე და...). შემდეგ უკვე ყბადაღებული „პანორამა თბილისის“ ამბავი იყო, სადაც მერიამ სამარცხვინო უპრინციპობა გამოიჩინა და ჩვენი ქალაქის პირველმა პირმა, ვითარცა დამჯერმა ყმამ, უპრობლემოდ გასცა ნებართვა ქალაქის თავზე ხეების მოსაჭრელად და წარმოუდგენელი სიმახინჯის ასაშენებლად. შემდეგ კვლავ გაგრძელდა სკვერებისა და რეკრეაციული სივრცის მოსპობა და მათ ნაცვლად შენობების აშენების ნებართვების გაცემა.

ახალხან კი, ცნობილი გახდა, რომ უკვე ისედაც გვარიანად იავარქმნილ დიღმის ტყე-პარკში ხეები მოინიშნა და ამაზე მერიის წარმომადგენელმა საერთოდ გამაოგნებელი რამ თქვა. ხეები უბრალოდ მოინიშნა და მათ არავინ მოჭრისო. ეს მაშინ, როცა სატყეო საქმის ყველაზე ნაკლებად მცოდნე ადამიანმაც კი იცის, რომ ასე, „უბრალოდ“ ხეების მონიშვნა არ ხდება და ამ საქმეს მხოლოდ მათი მოჭრის წინ ახორციელებენ.

და ასე, ქალაქსა და ჩვენს გარემოზე „ზრუნვა“ კვლავ გრძელდება. მიდიან და მოდიან ხელისუფლებები და პარტიები. ოპოზიციონერობის დროს დიდი გარემოსდამცველები (ზოგიერთი ისე „გამწვანდა“, „გირჩიც“ კი უწოდა საკუთარ პარტიას), ხელისუფლებაში აღმოჩენისას კი ცინიკოსი უსაქმურები. ჩვენ კი ბრაზის გუნდებს ვზელთ. ეს ხომ მაინც შეგვიძლია?..

1. ჩრდილო-ამერიკული დათვი
2.ორგანიზ. შეგუება ახალ პირობებთან
3. ცნობილი იაპონელი დიზაინერი
4. სიტყვის შემადგენელი ელემენტი
5. „შინაური“ მწერი
6. სამხედრო ნადავლი
7. საფეიქრო ბანანი
8. ჰიგიენური დაწესებულება
9. მაღალი ხარისხის ნაყინი
10.ოქროს ურდოს სარდალი
11. ასტრონომიული კუთხე
12.მშრალი ცხელი ქარი უდაბნოში
13. რუსი ქალის ეროვნული სამოსი
14. სანთლის მსგავსი ნივთიერება
15. წიწვოვანი მცენარე
16. წიგნის მოკლე დახასიათება
17. აშშ-ის შტატი
18.კბილი ბავშვის ენაზე
19. აშშ-ის ტერიტორ. ერთეული
20. ბარომეტრის ნაირსახეობა
21. მდინარე შიდა ქართლში
22. იაპონიის ძველი დედაქალაქი
23. ღმერთების დედა ინდუიზმში
24. ფულის გამოძალვა მუქარით
25. ობობას ქსელი
26.ხართან ქვეითად მებრძოლი კორიდაზე
27. ისრაელის წარმოების ავტომატი
28. ცის ღმერთი აქადურ მითოლოგ.
29. დიდი მუწუკი
30. ფრანგული ნაგაზი
31.მარცვალგაცლილი სიმინდის ტარო
32. მვიოლინე ... ისაკაძე
33. მომღერალი ედიტ ...
34.კათოლ. მამათა მონასტრის წინამძღვარი
35. ტბა იტალიაში
36. ძვ. ფრანგული სიგრძის ერთეული
37. ტოლსტოის „... კარენინა“
38. შინაური ცხოველი
39. მდინარე შვეიცარიის დედაქალაქში
40.„განდეგილის“ ავტორის სახელი
41. შექსპირის მეფე
42. რუსეთის ფულის ერთეული
43. მხარე გერმანიაში
44. ცხვრის საკვები ბალახი
45.მნიშვნელოვანი აზრი, ჩანაფიქრი
46. ადამიანის ან ცხოველის სხეულის კუთვნილი ნაწილი
47. დეკორატიული ყვავილი
48. მდინარე - ესპანურად
49. თევზის ძვალი
50. ებრაელთა რეპატრიაცია სამშობლოში
51. ესპანეთის საკურორტო კუნძული
52. უწყინარი ხასიათის დაცინვა
53. სახელმწიფო აფრიკაში
54. მდინარე ქარელის რაიონში
55. წარჩინების ნიშანი
56. სამი წერტილი კამათელზე
57.ფეხბურთელი ... ოვერმარსი
58. ორელექტროდიანი ელექტრონული ხელსაწყო
59.ჰოლივ. მსახიობი რობინ ...
60. გაზაფხულის ყვავილი
61. იგივეა, რაც სასულე
62. ავსტრალიური სირაქლემა
63. რუსი მხატვარი, „უცნობი ქალის პორტრეტის“ ავტორი
64. მდინარე აზიაში

სიგარეტს პროტესტით ეაყიდიან

ისლანდიის ხელისუფლება ფართომასშტაბიან პროექტს იწყებს, რომლის მიზანიც საკუთარი მოქალაქეების ნიკოტინზე დამოკიდებულების გადაჩვევაა. ეს საყოველთაოდ მხარდაჭერილი ინიციატივა მთლიანად გაასუფთავებს ამ კუნძულოვანი ქვეყნის თავისუფალ ბაზარს თამბაქოს ნაწარმისგან. 2012 წელს ადგილობრივებმაც და აღმოსავლეთ ევროპიდან ჩასულმა მიგრანტებმაც მასობრივად დაიწყეს ქვეყნის დატოვება მას შემდეგ, რაც მსოფლიო კრიზისის გამო, გაუფასურდა ისლანდიური კრონა და დაიწყო უმუშევრობა. იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყნის მოსახლეობა მხოლოდ 318 ათასია, მცხოვრებთა ასეთი გადინება სერიოზულ შეშფოთებას იწვევს. ამიტომ მთავრობამ გადაწყვიტა, კუნძულზე დარჩენილების ჯანმრთელობაზე იზრუნოს. ცდილობენ, ყველანაირად შეამცირონ სიკვდილიანობა, რაც ნიკოტინითაა გამოწვეული. ახალი კანონმდებლობით, სიგარეტი გაქრება დახლებიდან, მოწევას გაუთანაბრებენ ნარკოდამოკიდებულებას, ხოლო მწეველებს აიძულებენ, რეგულარულად გაესინჯონ ექიმს. მედიკოსებს კი ევალებათ, მწეველ პაციენტებს გაუქრონ ამ მავნე ჩვევსის სურვილი. იმ შემთხვევაში, თუ ეს უშედეგო აღმოჩნდება, ექინებს ექნებათ უფლება, მწეველებს სიგარეტის შეძენაზე რეცეპტი გამოუწერონ.

ᲙᲣᲑᲝ ᲛᲔᲚᲝᲛᲐᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

მუსიკისგან სიამოვნების მიღება რომ შეწყვიტოთ, საამისოდ საკმარისი მიზეზი სიკვდილიც კი არ არის. ასე მიიჩნევს შვედური კომპანია Pause, რომელიც ცოცხალ და მკვდარ მელომანებს ხელით დამზადებულ, მდიდრულ კუბოს CataCoffin სთავაზობს სრული მუსიკალური აღჭურვილობით — უმძლავრესი ხმის გამაძლიერებლით, დიმანიკებით და ასე შემდეგ. მუსიკალური სარკოფაგი მიწისქვეშეთიდან საფლავის ქვას უერთდება, რომელიც ერთგვარ აუდიოსერვერად გამოიყენება, სადაც ინახება ფაილები და რომელზეც შეიძლება ახალი ტრეკების ჩაწერა. მეტიც, საფლავის ქვა ქსელით ონლაინდამატება Spotify-ს უკავშირდება, რომელიც ავტომატურად ანახლებს კომპოზიციებს იმისდა მიხედვით, რა მიმართულების მუსიკას ანიჭებდა მიცვალებული უპირატესობას. ეპიტაფიასთან განთავსებულია 7-დიუმიანი თხევადკრისტალური მონიტორი, რომელიც გამვლელებს უჩვენებს, იმ მომენტისთვის რა მელოდიით „ტკბება“ მიწის ქვეშ მყოფი მელომანი.

ᲙᲐᲠᲕᲔᲑᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲨᲘ

ამომავალი მზის ქვეყანაში, განსაკუთრებით კი ტოკიოში კემპინგი გაცილებით ხელმისაწვდომი გახდა, ვიდრე ადრე. დედაქალაქის მაცხოვრებლებს შესთავაზეს, რამდენიმე დღით პირდაპირ ქალაქის ცენტრში გაეშალათ კარვები, იმის ნაცვლად, რომ ბუნებაში გასულიყვნენ. ამ კემპინგში შესაძლებელია ლაშქრობის პირობებში ცხოვრება, ბარბექიუს მომზადება და ახალი რაკურსით ტოკიოს პეიზაჟებით ტკბობა. მათი ნაწილი, ვინც მონაწილეობა მიიღო ამ აქციაში, მიიჩნევს, რომ ეს უბრალოდ, უცნობ ადამიანებთან კონტაქტის საშუალებაა. ზოგი საკუთარ მეზობლებსაც კი არ იცნობს, ამ ბანაკში კი ნებისმიერთან მისვლა და საუბრის გაბმა შეიძლება, — აცხადებენ ისინი. ქალაქის ცენტრში, 8 ათას კვადრატულ მეტრზე განთავსებულ კარვებში დაახლოებით 200-მდე ადამიანი დასახლდა. აქციის ორგანიზატორები „ქალაქური კემპინგით“ კმაყოფილები არიან და აქციის გაფართოებას მსოფლიო მასშტაბით გეგმავენ.

ᲡᲣᲓᲝᲙᲣ ᲨᲐᲮᲜᲘᲐ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

7						4	9	8
9			8					
3		8	6			7		
				5			2	
	4		2		7		3	
	8			6				
		9			6	3		1
					5			7
4	6	1						2

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

	3	5					4	
			5		2	9		
	6			1	9		3	
			9			7		
8				6				5
		9			7			
	5		2	9			8	
		1	8		5			
	9					3	5	

ᲠᲗᲣᲚᲘ

4		1						
		2		7	5			
					3			1
	2			3		7		
8				4				6
		9		6			1	
3			9					
			3	5		2		
						5		4

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

4	7					8		
	2	9			8			
8	5		2		7			3
		2	8					
7	4						2	8
					2	5		
6			3		1		5	9
			6			4	8	
		1					3	7

რა სჯირდება ქალს ბედნიერებისთვის

ამერიკელმა სწავლულებმა გადაწყვიტეს გაერკვიათ, სინამდვილეში რა აბედნიერებს სუსტი სქესის წარმომადგენელს. მათ ექსპერიმენტში სხვადასხვა სოციალური ჯგუფისა და ასაკის 850-მა ქალმა მიიღო მონაწილეობა. მათ შესაბამისი ტესტირება გაიარეს. შედეგების შეჯამებისას მკვლევარებმა აღმოაჩინეს, რომ სუსტი სქესის ნებისმიერ წარმომადგენელს აბედნიერებს ძალიან მარტივი რაღაცები. სიხარულის მომგვრელი ამბების ჩამონათვალში პირველი ადგილი გახდომის შესახებ ინფორმაციაა. ეს სიახლე არა მხოლოდ აბედნიერებს მანდილოსნებს, არამედ თავდაჯერებას მატებს. მეორე ადგილზეა მაღაზიებში სიარული, ტანსაცმლის შეძენა და გარდერობის განახლება. ყველა ქალმა, გამონაკლისის გარეშე, აღნიშნა, რომ განწყობის გასაუმჯობესებლად შოპინგს ვერაფერი შეედრება. ლიდერთა სამეულში შევიდა ასევე თაიგული, რომელსაც ქალებს საყვარელი მამაკაცები ჩუქნიან. სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ სუსტი სქესის წარმომადგენელს განწყობას უხალისებს საყვარელი ადამიანისგან უმიზეზოდ მირთმეული თუნდაც ერთი ღერი ყვავილი. „ბედნიერების მიმნიჭებელთა“ სიაში მოხვდა ასევე საჭმლის შეკვეთა და სახლში მიტანა, საჩუქრები ახლობელი ადამიანებისგან და სადილობისას ერთი ჭიქა ღვინო.

ტაძარი სამი რელიგიისთვის

გერმანიის დედაქალაქში მსოფლიოში პირველი ტაძრის აგება იგეგმება, რომელიც სამი რელიგიის — ქრისტიანობის, ისლამისა და იუდაიზმის მიმდევრებს მოემსახურება. ბერლინის ხელისუფლებამ გადაწყვიტა, მე-13 საუკუნის ეკლესიას ჩაუტარიოს რესტავრაცია, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს დაინგრა და ის სამი რელიგიის მიმდევრებისთვის ერთიან სახლად აქციოს. ტაძარს უკვე უწოდეს The House of One. ქალაქის მთავრობა და ღვთისმსახურებიც მივიდნენ დასკვნამდე, რომ ჩვენს დროში მნიშვნელოვანია მორწმუნეთა გაერთიანება, მათი რელიგიის მიუხედავად. სამი რელიგიის ტაძრის პროექტზე ამჟამად ქრისტიანი მღვდლები, იმამი და რაბინი მუშაობენ. გამოცხადებულია ტენდერიც ასეთი ტარის საუკეთესო არქიტექტურული გადაწყვეტისთვის. მისი ღირებულება 10-დან 43 მილიონ ევრომდეა, თუმცა ფონდში ჯერჯერობით მხოლოდ ერთი მილიონია.

მღვდელმა ფული მოიპარა

იტალიელმა მღვდელმსახურმა საქმელმოქმედო თანხიდან 100 ათასი ევრო ვტომობილზე, სკუტერზე, ალპებში და სიცილიაზე დასვენებასა და სპორტულ ინვენტარზე, ასევე მდიდრულ ვახშმებსა და დედისთვის კოსმეტიკურ პროცედურებზე დახარჯა. შემოწირულობა გასულ წელს მიიღეს პადუელი აფთიაქარის ანდერძის თანახმად, რომელმაც ეკლესიას 14 მილიონი ევრო დაუტოვა. თანხა ორგანიზაცია „კარიტასის“ ადგილობრივი წარმომადგენლობისთვის იყო განკუთვნილი, რომელიც უპოვარ ადამიანებს ეხმარება. თანხა კი 57 წლის მღვდელმსახურს უნდა გაენაწილებინა. სამართალდამცავებს ღვთისმსახურის ცხოვრების წესის მოულოდნელ შეცვლაზე ინფორმაცია მისმა კოლეგებმა მიაწოდეს. პოლიციაში აცხადებენ, რომ წინასწარი მონაცემებით, იტალიელმა მღვდელმა საერთო თანხიდან დაახლოებით 100 ათასი ევრო მიითვისა.

ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲡᲣᲚᲘ ᲡᲙᲐᲜᲕᲝᲠᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲣᲓᲝᲙᲣᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

7	8	5	2	1	9	3	6	4
4	6	2	8	3	5	1	9	7
3	1	9	7	6	4	8	5	2
6	9	4	5	2	3	7	1	8
8	2	1	6	9	7	5	4	3
5	7	3	4	8	1	6	2	9
2	4	8	3	5	6	9	7	1
1	5	7	9	4	8	2	3	6
9	3	6	1	7	2	4	8	5

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

3	8	7	6	5	2	1	4	9
1	5	9	4	3	8	7	6	2
6	4	2	1	7	9	5	8	3
2	1	3	9	8	6	4	7	5
9	7	8	5	4	3	6	2	1
5	6	4	7	2	1	3	9	8
8	9	1	3	6	4	2	5	7
7	3	6	2	9	5	8	1	4
4	2	5	8	1	7	9	3	6

ᲠᲗᲣᲚᲘ

7	9	4	6	5	8	3	2	1
5	2	3	7	1	9	4	8	6
1	8	6	4	2	3	9	7	5
6	3	5	1	9	7	2	4	8
4	1	2	3	8	6	5	9	7
8	7	9	5	4	2	1	6	3
9	6	7	2	3	5	8	1	4
3	4	8	9	7	1	6	5	2
2	5	1	8	6	4	7	3	9

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

8	7	6	3	5	4	2	1	9
5	4	3	2	1	9	8	7	6
2	1	9	8	7	6	5	4	3
6	5	1	9	4	8	7	3	2
9	3	8	7	2	1	6	5	4
7	2	4	6	3	5	1	9	8
4	9	7	5	6	2	3	8	1
3	8	2	1	9	7	4	6	5
1	6	5	4	8	3	9	2	7

მე-12 გვერდი: 1. თერმომეტრი; 2. ბუნაგი; 3. თუმანი; 4. რენძიუ; 5. ონიქია; 6. ბაბუინი; 7. „ნესკაფე“; 8. გარგარი; 9. ამინდი; 10. ახუნდი; 11. ბრუტო; 12. ბისტრო; 13. ხალთა; 14. მახათი; 15. ნაიბი; 16. ფარა; 17. სენატი; 18. „ჩიხურა“; 19. „აიაქსი“; 20. იტერბიუმი; 21. უეფა; 22. რუზველტი; 23. დილერი; 24. „იდიოტი“; 25. გამბუზია; 26. დრამი; 27. ელვა; 28. გარი ნევილი; 29. მაიდანეკი; 30. ავე; 31. მადამ; 32. ოტია; 33. ქერა; 34. ალი; 35. ბიტი; 36. რაისფედერი; 37. ბაო; 38. ატილა; 39. ნოე; 40. სტოა; 41. დიდი; 42. ნუნუა; 43. ტაიმი; 44. პორტიე; 45. დაზგა; 46. ჩიპოლინო; 47. ვატი; 48. ტიტიკაკა; 49. „უმზითვო“; 50. ვეჩე; 51. „ბიგლი“; 52. გაიდაი; 53. პაი; 54. ლუსონი; 55. ვიკარი; 56. რუანი; 57. ლაბა; 58. მიგელ; 59. მუნდიალი; 60. ჟიპიტაური; 61. იპოლიტე; 62. [პირლო; 63. კლიო; 64. ულმი; 65. კალა; 66. კუბი; 67. ბალთა; 68. ტაიბეი; 69. პეპია; 70. მაე; 71. ლუი; 72. ომარ; 73. სნო; 74. პატიო; 75. ჟორჟ; 76. ლინო; 77. გნუ; 78. ლულა; 79. აბუ; 80. ბია; 81. რა; 82. გეა; 83. „იაგუარი“; 84. ანოა; 85. ალეპო; 86. კოლიე.

საყვარელი მუსიკა სისხლს აუმჯობესებს

ბრიტანელი მეცნიერები არ იღლებიან ათასგვარი გამოკვლევებით, ამჯერად მათ დაამტკიცეს, რომ საყვარელი მუსიკის მოსმენა ადამიანის სისხლს აუმჯობესებს და მთლიანობაში, დადებით ზეგავლენას ახდენს სისხლძარღვთა სისტემაზე. ექსპერიმენტებისას სწავლულები 36 წლამდე ასაკის ასობით ქალსა და მამაკაცს აკვირდებოდნენ. როცა ისინი საყვარელ მუსიკას ისმენდნენ, მათი წინამხრის სისხლძარღვები თითქმის 26%-ით ფართოვდებოდა. სისხლში კი აზოტის ჟანგის კონცენტრაცია მატულობდა. სწორედ ეს თანაფარდობა, — მეცნიერთა მტკიცებით, — აღკვეთს სისხლში ქოლესტერინის კოლტებისა და თრომბის წარმოქმნას. გასაკვირი არ არის, რომ თავად სისხლზე მუსიკის გავლენა სულ რამდენიმე წამს გრძელდება, თუმცა, საყვარელი ჰანგებით გამოწვეული დადებითი ეფექტი საკმაოდ ხანგრძლივია.

1. საომარი მოქმედების არე
2. სამგლოვიარო ხასიათის მუსიკალური ნაწარმოები
3. კოლუმბის ერთ-ერთი კარაველა
4. ასტრონომიის მუზა
5. ტბა აფხაზეთში
6. ჩანჩქერი ჩრდილოეთ ამერიკაში
7. პატარა ძუძუმწოვარი ცხოველი
8. მექსიკელების ქალღმერთი, მუზების დედა
9. სიმებიანი საკრავი
10. სპექტრის ერთ-ერთი ფერი
11. კლიმატური კურორტი გურიაში
12. მედიცინის დარგი
13. ფრთოსანი მწერის განვითარების სტადია
14. აზერბაიჯანის დედაქალაქი
15. ქვეყნის ნაწილი
16. ნაპოლეონის ერთ-ერთი მარშალი
17. სკანდინავიელთა უზენაესი ღმერთი
18. ბერძნული ანბანის ბოლო ასო
19. რაიონული ცენტრი სვანეთში
20. ომის ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში
21. დიდი ვენახი
22. მიმართვა ინგლისელი ქალიშვილისადმი
23. ზღვაოსანი, რომლის სახელიც ეწოდა ამერიკას
24. მეფის სასახლე „ჰამლეტში“
25. მიტოს ცოლი „გარიგებაში“
26. მამალი შინაური მსხვილფეხა პირუტყვი
27. ხალიჩის ძველქართული სახელწოდება
28. ფუტკრის სახლი
29. საფოსტო ნიშანი
30. ხომალდის ტვირთი
31. თებეს მითიური მეფე
32. საგანთა ჩამონათვალი
33. გარიჟრაჟის ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში
34. მდინარე დასავლეთ საქართველოში
35. მოძრაობა რელ. კონფესიების გასაერთიანებლად
36. ყინული - ინგლისურად
37. მზის ღმერთი ეგვიპტურ რელიგიაში
38. განის დედაქალაქი
39. ბარბადოსელი მომღერალი ქალი
40. ერთი საქმის საბუთების ერთობლიობა
41. ველური კომში
42. დამუხტული ატომი
43. დასტ. შეძახილი აშშ-ში
44. ფრანგული ავტომარკა
45. ფოტოგრაფიის „მამა“
46. პირველი საბჭოთა კოსმონავტი
47. დიდი ფრინველის ჰაერში ლივლივი
48. გერდას მეგობარი
49. ხელის საგრილობელი
50. დახრილი, ალმაცერი
51. ვერცხლისწყლის ნაერთი ლითონთან
52. პლანეტა ვენერას ერთ-ერთი სახელი
53. ერთ-ერთი სომხური პოლიტ. პარტიის წევრი
54. მხედველობის ორგანო
55. ჩოგბურთელი ... სამპრასი
56. იტალიის საფეხბურთო კლუბი
57. გრაფი „სევილიელ დალაქში“
58. შეძ. კონცერტზე ნომრის გამეორების მოთხოვნით
59. ქალის საბანაო კოსტიუმის სახეობა
60. პარიზის ერთ-ერთი მუზეუმი
61. ბჰუტანის დედაქალაქი
62. ჰერმან ლევენსკოლდის რომანტიკული ბალეტი
63. შეძახილი კავკასიური ცეკვებში
64. ყოფილი ბრაზილიელი ფეხბურთელი, ლეგენდარული სოკრატესის ძმა
65. რუმინეთის ეროვნული ვალუტა
66. აშშ-ის ტელეპრემია
67. ვიოლინოს მსგავსი საკრავი
68. მნიშვნელოვანი აზრი, ჩანაფიქრი
69. სემის, ქამის და იაფეტის მამა
70. ორმოქმედებიანი დრამა ძვ. ბერძნულ თეატრში
71. პრომეთეს მამა
72. სოფელი ადიგენის რაიონში
73. მ. ჯავახიშვილის „მეჩექმე ...“
74. „თანხმობის ნიშანი“
75. ბალახის ჩრდილი
76. ბალკანეთის ხალხთა არაყი
77. კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის ყოფილი სახელწოდება
78. ნოდარ დუმბაძის „... ვხედავ მზეს“
79. ქართველთა ძველი წარმართული ღვთაება
80. ნადირთმფარველი ღვთაება ქართ. მით.
81. ადამიანის სამეტყველო ორგანო
82. სამი წერტილი კამათელზე
83. გასეირნება ბავშვის ენაზე
84. ვახტანგ ვორგასლის ძე
85. ვაზის აჭრილი ტოტი მტევნებიანად
86. არსენა ოძელაშვილის მშობლური სოფელი
87. „ქალაქი ანარას“ რეჟისორი
88. უნგრელი კომპოზიტორი ზოლტან ...
89. სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია
90. მარვჯნის კუნძული

მარილის „შავი ბაზარი“ სკოლებში

აშშ-ში, ინდიანას შტატის სკოლებში, მოსწავლეების მიერ ფულის შოვნის ორიგინალური მეთოდი გამოვლინდა: მარილით ვაჭრობა სასკოლო სადილის დროს. საქმე ის არის, რომ 2010 წელს აშშ-ს კონგრესმა მიიღო კანონი მარილის, შაქრისა და წიწაკის ნორმატივების შესახებ სასკოლო კვებაში. ყველა სასწავლო დაწესებულებაც დაემორჩილა ახალ რეცეპტურას. სანელებლების რაოდენობა იმდენად შემცირდა, რომ ბევრი მოსწავლე ვეღარ იტანს აქაურ საკვებს. შაქრისა და წიწაკის უკმარისობას ბავშვები რაღაცნაირად კიდევ შეეგუვნენ, მარილის ნაკლებობა კი ძნელი გადასატანი აღმოჩნდა. ამ პრობლემის საპასუხოდ სკოლებში მალევე ჩამოყალიბდა მარილის „შავი ბაზარი“ — გამჭრიახი მოსწავლეები, სადილის დროს მარილს ყველა მსურველზე ერთ დოლარად ყიდიან. ინფორმაციამ კონტრაბანდის თაობაზე სკოლების ასოციაციამდეც მიაღწია, სადაც მიიღეს გადაწყვეტილება, რომ პეტიცია შეადგინონ მარილზე არსებული მკაცრი ნორმების შეცვლის თაობაზე.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, მარიკა ლომიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.